

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი

**Institute of Theoretical and Comparative Linguistics and Phonetics**

ირინე მელიქიშვილი, ნანა გამყრელიძე, ივანე ლეჟავა,  
ლუიზა ლორტიყანიძე, იზაბელა ქობალავა, ქეთევან მარგიანი

**Irine Melikishvili, Nana Gamkrelidze, Ivane Lezhava,  
Luiza Lortkipanidze, Izabella Kobalava, Ketevan Margiani**

გლოტალიზაცია ქართველურ ენებში აკუსტიკური და  
ფუნქციონალური თვალსაზრისით

**The Acoustic and Functional Study of Glottalized Phonemes  
(Ejectives) in Kartvelian Languages**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
**Publishing House “UNIVERSAL”**

თბილისი Tbilisi 2011

*ნაშრომში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შედეგები. პროექტის ამოცანა იყო ქართველურ ენათა გლოტალიზებული თანზომევნების ფონეტიკური ბუნებისა და ფუნქციონირების სპეციფიკის დადგენა როგორც ერთმანეთთან, ისე კავკასიის სხვა ენებთან მიმართებით. გლოტალიზაცია რთული ფონეტიკური ნიშანია და მისი მახასიათებლები საკმაოდ მრავალფეროვანია მსოფლიოს ენებში. ნაშრომში დადგენილია ქართველურ გლოტალიზებულთა ტიპები აკუსტიკური თვალსაზრისით და ნაჩვენებია, როგორ აისახება გლოტალიზაციის სახესხვაობები მათ ფუნქციონირებაში – დისტრიბუციულ და სტატისტიკურ მახასიათებლებში.*

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ასათიანი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ეთერ სოსელია

ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ბარათაშვილი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation

© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, 0. შავჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-351-6

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I – გლოტალიზაციის ნიშნის ზოგადი ფონეტიკური და ტიპოლოგიური დახასიათება.....	7
თავი II – გლოტალიზებული ფონემების განაწილებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებები საერთო-ქართველურში.....	19
თავი III – გლოტალიზებულ ფონემათა ფონოტაქტიკური და ფონოსტატისტიკური ანალიზი ძველ ქართულში.....	41
თავი IV – გლოტალიზებულ ფონემათა ფონოტაქტიკური და ფონოსტატისტიკური ანალიზი ახალ ქართულში.....	51
თავი V – გლოტალიზებულ ფონემათა ფუნქციონირება ქართული ენის დიალექტებში.....	60
თავი VI – გლოტალიზაციის ნიშნის დისტრიბუციული ანალიზი სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქემოურ დიალექტებში.....	64
თავი VII – გლოტალიზაციის ნიშნის დისტრიბუციული ანალიზი სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში.....	78
თავი VIII – გლოტალიზაცია მგერულში.....	88
თავი IX – უცხო ენათა მარტივი ყრუ თანხმოვნების გადმოცემა სესხებისას ქართველურ და კავკასიურ ენებში .....	110
თავი X – ქართველური, კავკასიური და კავკასიის ენობრივი არეალის ინდოევროპული ენების ზუსტი თანხმოვნების აკუსტიკური ანალიზი .....	123
რეზიუმე .....	265
The Acoustic and Functional Study of Glottalized Phonemes (Ejectives) in Kartvelian Languages (Summary).....	279





## შესავალი

თანხმოვანთა გლოტალიზაცია მსოფლიოს ენებში საკმაოდ გავრცელებულ ლიფერენტიალურ ნიშანს წარმოადგენს. იგი ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა იმავე წყებას განეკუთვნება, რომელსაც მჟღერობა-სიყრუისა და ასპირაციის ნიშნები. პეტერ ლადეფოგედი და იან მედისონი მიუთითებენ, რომ გლოტალიზებული თანხმოვნები ანუ ეიექტივები წარმოდგენილია მსოფლიოს ენათა 18%-ში (ლადეფოგედი, მედისონი, 2006: 78). ვიკიპედიას ლექსიკონის თანახმად გლოტალიზებულები ფონეტიკურად წარმოდგენილია მათ მიერ გათვალისწინებულ ენათა 20%-ში, ხოლო ფონოლოგიურად – 15%-ში. ლინგვისტურ სტრუქტურათა მსოფლიოს ატლასში (World Atlas of Linguistic Structures. WALS) წარმოდგენილი 566 ენიდან გლოტალიზებულები დასტურდება 57 ენაში, რომლებიც ენათა 34 ოჯახს განეკუთვნება. ისინი გვხვდება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში – კავკასიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში. ენათა ოჯახები, სადაც გვხვდება გლოტალიზებული თანხმოვნები, შემდეგია: კავკასიაში: აფხაზურ-ადიღური, ნახურ-დაღესტნური, ქართველური, კავკასიის ინდო-ევროპული ენები; სომხურის აღმოსავლური დიალექტი და ოსური; ამერ-ინდური ენები: ათაბასკური, სოუ, სალიშური, იტონამა, ნა-დენე, პენუტიური, კვეჩუა; სამხრეთ ამერიკაში – მაია, აიმარა, კეჩუას სამხრეთის სახესვაობები (კუსკუ-კულაი), აფრო-აზიურ ოჯახში – ყუმიტური და ომოტური ენები, აფრიკაში ნიგერო-კონგოს ენები და ნილო-საპარული, ზოისანური (მაგ. სანდავე, ჰაძა) ენები, ზოზური ენები და სამხრეთ სემიტური ენები, როგორცაა ამჰარული და ტიგრინია; ჩუკურ-კამჩატკური ენები და ასტრონეზიური ენები (მაგ.: იაპესური), ალათაური ენები (კორეული). ლადეფოგედი ეიექტივების მცირე გავრცელებულობას მათი წარმოების სირთულით ხსნის. მიუხედავად კარგი აკუსტიკური თვისებებისა (ინტენსივობა), გლოტალიზებულები საკმაოდ იშვიათია.

ამ ტიპის ფონემათა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება: გლოტალიზებულები, ეიექტივები, იმპლოზიურები, რეკურსიული თანხმოვნები. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იხმარება ტერმინები: ყელზმულები, აბრუპტივები, მკვეთრები, გლოტალიზებულები. ხოლო ტერმინი ეიექტივი იშვიათად გამოიყენება, თუმცა ევროპულ ენებში მას ეძლევა უპირატესობა. ეს ტერმინები ამ ბგერათა სხვადასხვა ფონეტიკურ ასპექტს ასახავს. ასე მაგალითად, ტერმინი *ეიექტივი* შექმნილია ლათინური სიტყვის *ejicio* „აშოვავებ“ საფუძველზე, გლოტალიზებული ასახავს ზორხისმიერ არტიკულაციას, მკვეთრი – აკუსტიკურ შტაბეჭდილებას, აბრუპტივი – მგესეულ არტიკულაციას და ასე შემდეგ. ჩვენს ნაშრომში ძირითადად გამოიყენებთ ტერმინს „გლოტალიზებული“. ეს ტერმინი გამოიყენება ერთის მხრივ როგორც გვაროვნული ცნება – მოიცავს ეიექტივებსა და იმპლოზივებს და მეორე მხრივ როგორც ეიექტივების სინონიმური ტერმინი. ჩვენ მას ძირითადად ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გამოიყენებთ.

გლოტალიზაცია საკმაოდ რთული დიფერენციალური ნიშანია და რამდენიმე ფონეტიკურ მახასიათებელს აერთიანებს: დამატებით ზმეას გლოტისში, დაჭიმულ არტიკულაციასა და მაღალ ინტენსივობას, მცირე გრძლივობას. გამოიყოფა გლოტალიზაციის ნიშნის სხვა ფონეტიკური კომპონენტებიც. ეს კომპონენტები შესაძლებელია სხვადასხვაგვარად კომბინირებდნენ ენებში – შესაბამისად, არსებობს გლოტალიზებულ ფონემათა სახესხვაობები. ჩვენი ნაშრომის ამოცანაა, გავარკვიოთ, რა ტიპის გლოტალიზებულები გვაქვს ქართველურ ენებში, არის თუ არა სხვაობა გლოტალიზებულად მიჩნეულ ფონემათა არტიკულაციაში ქართველურ ენებსა და დიალექტებს შორის და რა სახისაა ეს სხვაობა.

გლოტალიზებულ ფონემებს გარკვეული ფონოტაქტიკური თავისებურებები ახასიათებს. ლარინგალური არტიკულაციის სხვა ნიშნებთან გლოტალიზაციის სინტაგმატური კომბინირების უნარი შედარებით შეზღუდულია, მას უფრო მკაცრი ფონოტაქტიკური შეზღუდვები ედება, ვიდრე მჟღერობისა და ასპირაციის ნიშნებს და შედარებით ნაკლები ტექსტური სიხშირე აქვს. ძირითადად ეს არის კომბინირების დისიმილაციური შეზღუდვა – მორფემის ფარგლებში ორი გლოტალიზებული ფონემის აკრძალვა. იგი ზმირად სიტყვის ფარგლებშიც მოქმედებს. საერთო-ქართველურ ენაში მოქმედებდა გლოტალიზებულ ფონემათა კომბინირების დისიმილაციური შეზღუდვის წესი. ის გარკვეულწილად მოქმედებდა ძველ ქართულშიც. დღესაც ცოცხალია სვანურში, მაგრამ ადარ მოქმედებს ახალ ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. ქართული ენის მთის დიალექტებში სუსტად შეინიშნება ამ წესის მოქმედების კვალი. გლოტალიზებულთა ფუნქციონირებაში მომხდარი ეს ცვლილებები მიუთითებს, რომ მათ ფონეტიკურ ბუნებაშიც უნდა მომხდარიყო გარდაქმნები. ამის საფუძველზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა, რომ გლოტალიზაციის ხარისხი ახალ ქართულ ენაში და მეგრულ-ლაზურ დიალექტებში უნდა შეცვლილიყო, სავარაუდოდ, შემცირებულიყო. ამასვე გვაეარაუდებინებს აკუსტიკური შთაბეჭდილებაც. ქართული და მეგრულ-ლაზური გლოტალიზებულები ნაკლებ მჭახე და მკვეთრ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე მთის კავკასიურ ენათა გლოტალიზებულები. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მეორე ამოცანაა ქართველურ ენათა გლოტალიზებულების შედარება კავკასიის სხვა ენათა გლოტალიზებულებთან – როგორც მთის კავკასიურ ენათა, ისე კავკასიის ინდოევროპული ენებისა – ოსურისა და სომხურისა და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა. ჩვენი წინასწარი ჰიპოთეზა, რომლის შემოწმებასაც ვისახავდით მიზნად, შემდეგია: სვანური გლოტალიზაცია უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქართული და მეგრულ-ლაზური; მთის კავკასიურ ენათა გლოტალიზაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ქართველურ ენათა გლოტალიზაცია. საინტერესო იყო აგრეთვე საკითხი, არის თუ არა ამ თვალსაზრისით განსხვავება ქართული ენის დიალექტებს შორის და რამდენად ძლიერია კორელაცია ბგერათა ფონეტიკურ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს შორის.

ამ პროექტზე მუშაობის შესაძლებლობა მოგვეცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების მეშვეობით. ნაშრომის პუბლიკაციაც ამ ფონდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

გლოტალიზაციის ნიშნის ზოგადი ფონეტიკური და  
ტიპოლოგიური დახასიათება

განიხილოთ გლოტალიზებულების წარმოების მექანიზმის შესახებ არსებული მოსაზრებები. გლოტალიზებულები წარმოადგენენ ყრუ თანხმოვნებს, რომელთა წარმოებაშიც მონაწილეობს ერთფაზიური ხშვა ხორხში. გლოტალიზებულების საწარმოებლად სტილოპიოიდური კუნთი და ლივასტრული კუნთი იკუმშება და იწვევს პიოიდური ძვლის და ლარინგის აწევას; ამასობაში წინა არტიკულაცია შენარჩუნებულია, რაც იწვევს წნევის ძალიან დიდ აწევას პირის ღრუში ისე, რომ, როდესაც ხდება ორალური არტიკულაციის მოხსნა, ჰერნაკადის მკვეთრი სკომა ხორციელდება. ამ დროს შეიძლება დაინახოთ „ადამის ვაშლის“ აწევა. ხშირად გლოტალიზაცია სუსტია და ასეთი თანხმოვნები „არაასპირირებულ“ ყრუ ხშულებად მიიჩნევა. ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ *ინტერმედიატებს (შუალედურებს)* უწოდებენ (Catford, 1982: 68).

გ. ახვლედიანი ასე ახასიათებს გლოტალიზებულ თანხმოვნებს: „როგორც წესი, სამეტყველო ბგერების ყველაზე გავრცელებული წარმოების საშუალებაა – ამოსუნთქული ჰერნაკადი. ამას ეწოდება სუნთქიერი ბგერათწარმოება. მაგრამ არის ზოგიერთ ენაში ისეთი თანხმოვნები, რომლებიც იწარმოება „ყელხშვით“, ე.ი. სახმო სიმების დაკეტილობისას. მაშასადამე, ამოსუნთქული ჰერის გარეშე, იმ ჰერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესაღვამ მიღში. ესაა *უსუნთქელი ბგერათწარმოება*“.

ბერტილ მალმბერგი ასე ახასიათებს გლოტალიზებულებს ანუ ეიექტივებს: „კომპრესია პირის ღრუსა და ფარინგსში შეიძლება ისეთი ძლიერი იყოს, რომ ლარინგსი, დახურული გლოტისით, მკვეთრად აიწვეს ზევით და ჰაერი სწრაფად გამოვა გარეთ ორალური განხშვის დროს პირის გაღებისას“ (Malmberg, 1963: 29).

ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ გლოტალური განხშვა მოსდევს ორალურ განხშვას (Hockett, 1955, 33). ეს აისახება გლოტალიზებულთა აღნიშვნაშიც: მაგ. k', სადაც გლოტალიზაციის დიაკრიტიკული ნიშანი მოსდევს ძირითად სიმბოლოს.

ბ. ლადეფოგედი და ი. შედისონი ასე ახასიათებენ გლოტალიზებულების არტიკულაციას: ისინი იწარმოება ხორხში ხშვით და იმავდროული ხშვით პირის ღრუში. ლარინგსი სწრაფად იწვეს მაღლა, ისე რომ გლოტალური ხშვის ზემოთ ხდება ჰერის კომპრესია. პირის ღრუში ხშვის ქვემოთ წნევა ხშირად ორმაგად იზრდება ნორმალურ წნევისთან შედარებით. (მაგ. 8-დან 16 სმ. H<sub>2</sub>O). შემდეგ ხდება პირისმიერი ხშვის გახსნა და მაღალი სუპრაგლოტალური წნევის გამო ვაკუუმის სკომის დიდი ინტენსივობა.

კენსტოვიჩი და კისერბერტი გლოტალიზებულებს განსაზღვრავენ, როგორც გლოტალური ჰერნაკადის მექანიზმის მქონე ბგერებს. მათი აზრით, ეიექტივები წარმოიქმნება მჭიდროდ დახშული გლოტისით და ლარინგის აწევით. ეს ზრდის წნევას პირის ღრუსა და გლოტისში შევიწროების შედეგად. პირისმიერი ხშვის განხშვის შემდეგ წნევა ეცემა, ისე რომ ჰაერი გამოდის პირიდან (Kenstovich, Kisserbert, 1979: 18).

გლოტალიზებული თანხმოვნები ორი სახისაა: ეიექტივები და იმპლოზივები. ეიექტივები ეგრესიულია, ანუ არაფილტვისმიერი ჰაერი ამოედინება ქვემოდან, გლოტისიდან ზევით; ხოლო

იმპლოზიურები ინგრესიულია: მათი წარმოებისას ზდება ჰაერის შეწოვა და ბგერათა წარმოქმნა ამ შეწოვილი ჰაერის მეშვეობით. ეიექტივები ყოველთვის ყრუა, არ არსებობს მჟღერი ეიექტიური თანხმონები. ამის საპირისპიროდ, იმპლოზიური თანხმონები, როგორც წესი, მჟღერია. ეიექტივებისა და იმპლოზიების ფონეტიკური ბუნება განსაზღვრავს მათ მიმართებას ლოკალურ რიგებთან. ეიექტივები უპირატესობას აძლევენ უკანა რიგის არტიკულაციას, ხოლო იმპლოზიები – წინა რიგის არტიკულაციას. შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ უნივერსალიები:

თუ ენაში გვაქვს ეიექტივები, მაშინ მასში გვექნება ველარული ეიექტივები; თუ ხარვეზი გვაქვს ეიექტივების სისტემაში, ეს პირველ ყოვლისა, იქნება ბილაბიალური ხშულის ადგილი; ველარული ეიექტივების სიხშირე ყოველთვის მეტია ლაბიალური ეიექტივების სიხშირეზე. (Greenberg, 1970, მელიქიშვილი, 1976, Maddieson, 1984).

თუ ენაში გვაქვს იმპლოზიები, აუცილებლად გვექნება ლაბიალური იმპლოზიები. ხარვეზი იმპლოზიების სისტემაში, პირველყოვლისა, მოსალოდნელია ველარული ხშულის ადგილას. ლაბიალური იმპლოზიების სიხშირე ყოველთვის მეტია ველარული იმპლოზიების სიხშირეზე.

ეს კანონზომიერებები ზოგადად ყრუ და მჟღერ თანხმონათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებებია. გლოტალიზებული ფონემებისათვის ისინი უფრო ძლიერად კლინდება და ხშირად იღებს სისტემის ლაკუნების სახეს (მელიქიშვილი, 1976). ველარული ეიექტივები საკმაოდ გავრცელებულია და წარმოდგენილია კავკასიის ენებში, ჩრდილო-ამერიკულ ენებში (ჰაიდა, ვინტუ, პომო, სალიშური). პალატალური ეიექტივები შედარებით იშვიათია. ლაბიალური არტიკულაცია ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელია ეიექტიური გლოტალიზებული თანხმონებისათვის. საზოგადოდ კი არსებობს ტენდენცია, რომ სისტემა იყოს სიმეტრიული და გვექნოდეს ეიექტივები ყველა იმ ადგილას, სადაც გვაქვს სუნთქვეერი თანხმონები. ლადეფოგის აზრით, ველარული ეიექტივების მეტი გავრცელებულობა ალგეოლარულებთან და ლაბიალურებთან შედარებით იმით აიხსნება, რომ საჰაერო სივრცე *k*'-ს ხშვის უკან შედარებით მცირეა და დახურული სახმო სიმების მცირე აწვევაც მნიშვნელოვნად ზრდის მასში წნევას. *p*'-ს წარმოთქმისას კი საჰაერო სივრცე გაცილებით დიდია და მოიცავს ლოყებს, რომლებიც ადვილად შორდება ერთმანეთს. ამიტომ დაკეტილი სახმო სიმების ზემოთ აწვევა დიდად ვერ ზრდის წნევას. ეიექტიური *p*'-ს განხშვა დიდად არ განსხვავდება არაეიექტიურის განხშვისგან. აკუსტიკურად *k*' ყველაზე გამოკვეთილია ეიექტივებს შორის. ასევე გრინბერგიც ამ კანონზომიერებას იმპლოზიებისა და ეიექტივების საჰაერო სივრცის სხვადასხვა მოთხოვნით ხსნის. ეიექტივებს ესაჭიროებათ ნაკლები სივრცე, რადგან საჭიროა უფრო მაღალი წნევის წარმოქმნა.

ამრიგად, თუ ლარინგსი მოძრაობს ზემოთ და სახმო სიმები დახშულია, ჰაერი ზემოთ აიტყორცნება. თუ ამ დროს არსებობს ორალური ხშვა, ჰაერი დაიწნებება. როდესაც მოხდება განხშვა, წარმოიშვება ეიექტიური მკვეთრი ბგერა (Ladefoged, 2006: 153).

6. ტრუბეტკოი გლოტალიზაციის ოპოზიციას რეკურსიის ოპოზიციას უწოდებს, ხოლო გლოტალიზებულ ფონემებს – რეკურსიულს (Трубецкой, 1960: 175).

ამრიგად, გლოტალიზებულ თანხმონათა წარმოებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- პირისმიერი არტიკულაციის თანხმონები ხშვა გლოტისში;
- ლარინგსის აწვევა ზეით, რასაც თან სდევს ჰაერის კომპრესია; პირისმიერ და გლოტალურ ხშვებს შორის;
- დაჭიმული არტიკულაცია და მაღალი ინტენსივობა;

ბგერის შეფარდებითი სიმოკლე.

გლოტალიზებული ფონემები არა მარტო რთული არტიკულაციით ხასიათდება, არამედ მათში ფონეტიკური კომპონენტების პარალოქსულ შეერთებასაც ვხვდავთ. ჩვეულებრივ, დაჭიმული არტიკულაცია იწვევს ბგერის შეფარდებით ხანგრძლივობას, ამიტომ, ჩვეულებრივ, დაჭიმული ბგერები უფრო გრძელია, ვიდრე არადაჭიმული. გლოტალიზებულები კი ხასიათდებიან დაჭიმულობით და მცირე გრძლივობით. ესეც, ცხადია, ართულეს მათ წარმოებას და განაპირობებს მათ მარკირებულ ხასიათს – შედარებით მცირე გავრცელებულობას ენებში; ხოლო იმ ენებში, სადაც წარმოდგენილი არიან, ისინი ხასიათდებიან შედარებით დაბალი სიხშირით და დისტრიბუციული შეზღუდულობით.

ივარაუდებოდა, რომ ეიექტივები და იმპლოზიები არ შეიძლება ერთჟამიერად იყოს წარმოდგენილი ერთ ენაში (იაკობსონი, 1969: 50), მაგრამ ასეთი ენები აღმოჩნდა. ასეთია ნილო-საპარული ენები: გუშუზი, მე'ენი, ტვამა. ასევე, აღმოსავლურ ყუმიტურ ენებში არის ეიექტიურ თანხმობანთა სერიები და მყდრი რეტროფლექსური იმპლოზიები.

გლოტალიზებული თანხმობენები უპირატესობას აძლევენ ხშულობას. გვაქვს გლოტალიზებული ხშულ-შსკდომები და აფრიკატები და უადრესად იშვიათია გლოტალიზებული ნაპრალონები (Greenberg, 1970: 124). ისინი წარმოდგენილია ტლინგიტში, ჰაუსაში, ამპარულში, აფხაზურ და აღიდურ დიალექტებში. შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უნივერსალიები:

თუ ენაში გვაქვს ეიექტიური ნაპრალონები, მაშინ მასში იქნება ეიექტიური აფრიკატები და ხშულები და თუ ენაში გვაქვს ეიექტიური აფრიკატები, მაშინ მასში იქნება ეიექტიური ხშულებიც.

ჯოზეფ გრინბერგს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური გამოკვლევა გლოტალიზებული ფონემების შესახებ: "Some generalizations concerning glottalic consonants, especially implosives" (Greenberg, 1970). მას ეკუთვნის განზოგადება გლოტალიზებულ ფონემათა მიმართების შესახებ ლოკალურ რიგებთან: იმპლოზიები უპირატესობას აძლევენ წინა არტიკულაციას, ეიექტივები კი – უკანა არტიკულაციას. ძალიან თვალსაჩინოა ეს იმ ენათა მაგალითზე, რომლებშიც არის როგორც იმპლოზიები, ისე ეიექტივები. ასეთია ჰაუსა, სადაც არის ორი იმპლოზიები – ბილაბიალური და ალვეოლარული და ორი ეიექტივი – ალვეოლარული აფრიკატი და ველარული ხშული. ეს კანონზომიერება უფრო ზოგადია და მოიცავს საერთოდ მყდრ და ყრუ თანხმობებს. იმპლოზიები, როგორც მარკირებული მყდრები და ეიექტივები, როგორც მარკირებული ყრუები უფრო მკვეთრად ამჟღავნებენ ამ კანონზომიერებებს. ძალიან ხშირია ხარკვეზი სისტემაში გლოტალიზებული ლაბიალის ადგილას.

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ენის გლოტალიზებულ თანხმობებს შორის (Lindau, 1984). ლინდაუმ შეადარა ველარული ეიექტივები ჰაუსასა და ნავახოში და დააფიქსირა მნიშვნელოვანი სხვაობები. ამ ორ ენაში განსხვავებულია ეიექტივის სხვადასხვა ნაწილების გრძლივობა. ნავახოში გლოტალური ხშვა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჰაუსაში. ჰაუსაში გლოტალური ხშვა ძალიან სწრაფად იხსნება პირისმიერი ხშვის შედეგ, და მას მოსდევს უბგერო ინტერვალი. ნავახოს გლოტალური ხშვა იხსნება ჭრიალა (creaky) ბგერით, რომელიც გრძელდება გარკვეულ ხანს ხშობის დაწყებამდე. არა გვაქვს მონაცემები პირისმიერი და გლოტალური ხშვის დროითი მახასიათებლების შესახებ.

ჯ. გრინბერგი განიხილავს გლოტალიზებულ ფონემებს მიმდევრობასა და მარცვალში პოზიციის თვალსაზრისით. ზოგადი კანონზომიერებაა, რომ იმპლოზიები და ეიექტივები უფრო

შეზღუდულია კომბინირების თვალსაზრისით, ვიდრე სუნთქვიერი თანხმონებები (Greenberg, 1970: 133). მარცვლის დასაწყის პოზიციაში ეიექტივები ყველა ენაში გვხვდებიან, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაში შეიძლება ყოველთვის არ გამოვლინდნენ. მჟღერი და ყრუ თანხმონებები სხვადასხვა ზემოქმედებას ახდენენ მეზობელი ხმონების ძირითად ტონზე (pitch) – მჟღერები ადაბლებენ ტონს, ყრუები კი არა. გლოტალიზებულთაგან ეიექტივები მარკირებული ფონემების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ იმ აზრით, რომ არასდროს გვხვდებიან სისტემაში შესაბამისი მარტივი ყრუ ფონემების არსებობის გარეშე. მათგან განსხვავებით, იმპლოზიურები შეიძლება ქმნიდნენ ენაში ერთადერთ მჟღერ სერიას (Greenberg, 1970: 134).

გლოტალიზებულ ფონემათა მკვლევრები ხშირად მიუთითებენ, რომ ამ ფონემათა ფონეტიკური მახასიათებლები სხვაობს ენათა შორის და ვერ ხერხდება და პრობლემურია ეიექტივების ორი ტიპის გამოყოფა კი (Warner, 1996). მხოლოდ რამდენიმე ენისათვის (ჰაუსა, ნავახო, ტიგრინია, კვიჩე, სალიშური, ინგუშური) მოგვეპოვება გლოტალიზებული ფონემების დეტალური აკუსტიკური აღწერა.

სანტიერესოა ინგუშურისთვის ჩატარებული ექსპერიმენტი. მან აჩვენა, რომ ეიექტივების VOT (დროის მონაკვეთი ორალური სკლამიდან ჟღერის დაწყებამდე) ნაკლებია სუნთქვიერთა VOT-ზე: გლოტალიზებულების საშუალო გრძლივობა იყო 26,2 მს. ხოლო სუნთქვიერებისა – 45,1 მს. ხშვის გრძლივობა დაახლოებით ტოლია: გლოტალიზებულების – 56,8 მს., ხოლო ყრუების – 54,4 მს. ნ. უორნერის ნაშრომში ერთმანეთთან შედარებულია ხუთი ენის მონაცემები და გაკეთებულია დასკვნა, რომ გლოტალიზებულთა ორი მკაფიო ტიპის გამოყოფა შეუძლებელია და ვარიაცია არ არის წინასწარმეტყველებადი.

	ინგუშური	ჰაუსა	კვიჩე	ნავახო	ტიგრინია
მომდენო ხმონის ძირითადი ტონი – FO	უფრო მაღალი		უფრო დაბალი		უფრო მაღალი
ველარული ეიექტივის VOT	50მსკ	25მსკ	50 მსკ	80 მსკ	80 მსკ
ხშვის გრძლივობის შეფარდება VOT-თან	1.94	2		1.5	
სკლამის მომდენო ჩქარობის ამპლიტუდა	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	უბევრო
ხმონის სრული ამპლიტუდის მიღწევა	ნელი	ნორმალური	ნელი	ძალიან სწრაფი	სწრაფი
ფონაციის ტიპი	აპერიოდული	აპერიოდული	ჭრიალა creaky	ჩვეულებრივი	ჩვეულებრივი

ლადეფოგედი და მედისონი ასხვავებენ ლარინგალურ წყობას (laryngeal setting) და ჰაერ-ნაკადის მექანიზმს (airstream mechanism). პირველის საფუძველზე გამოიყოფა: მჟღერი, ყრუ, ჭრიალა (creaky), პოსტასპირირებული მჟღერი, პრეასპირირებული მჟღერი (breathy-voiced). ჰაერნაკადის მექანიზმის საფუძველზე განირჩევა: სუნთქვიერი, ყრუ ეიექტივი, მჟღერი იმპლო-

ზივი, ყრუ იმპლოზივი. ჭრიალა (creaky) ტიპის ბეკრებს ისინი ლარინგალიზებულებს უთანაბრებენ.

გლოტალურ ხშვას ლადეფოგედი ორ ტიპად ყოფს იმის საფუძველზე, არის თუ არა ის პაერნაკალის ინიციატორი. გლოტალური ხშვა შესაძლებელია ჰქონდეთ მარცვლის ბოლოკიდურ ყრუ ხშულებს ინგლისური ენის ბევრ ბრიტანულ დიალექტში. მაგ.: სიტყვა pack შესაძლებელია წარმოთქმულ იქნეს, როგორც pæk და როგორც pæk'. მეორე შემთხვევაში მთელ ველარულ არტიკულაციას ედება გლოტალური ხშვა, რომელიც თრგუნავს გაგონებად სკლომას ან ფრიქციას განხშვისას. ასეთ დროს შეიძლება წარმოიქმნას ჭრიალა მჟღერი ფონაცია ხმოვნის ბოლოს. ნათლად ვლინდება მეორე და მესამე ფორმანტის მოძრაობა ერთმანეთისაკენ, რომელიც ტიპიურია ველარული ხშველისათვის სახმო სიმბოლეში ხშვის დროს, მაგრამ სიტყვის სხვა ვარიანტთან შედარებით ფორმანტების გადასვლის მოძრაობა რამდენადმე იკვეთება გლოტალური ხშვის ჩარევით (Ladefoged, Maddieson, 2006: 73).

გლოტალიზაციის სხვა სახეობა გვაქვს სიონაში, რომელზედაც ლაპარაკობენ კოლუმბიისა და ეკვადორის საზღვარზე. აქ ყრუ ხშულების გვერდით არის გლოტალიზებული სერია, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ გლოტალიზაცია ძალიან სუსტია, და გლოტალიზებულ სერიას განასხვავებს ლარინგალიზაცია, რომელიც ახასიათებს მომდევნო ხმოვანს. ლადეფოგედის შთაბეჭდილებით აქ გვაქვს ერთჟამიერი გლოტალური ხშვა, ორივე სერიაში გვაქვს დაყოვნება განხშვის შემდეგ მომდევნო ხმოვნის მჟღერობის დაწყებამდე, რომელიც არაგლოტალიზებულებში შეესაბუნება აკუსტიკური ჩქამიერი ინტერვალით, ხოლო გლოტალიზებულებში აქ გვაქვს უბევრო ინტერვალი. გლოტალური ხშვა შეიძლება მოგვევლინოს ორალური ხშვის გარეშე, ასეთ შემთხვევაში გვექნება გლოტალური ხშული. მსოფლიოს ენებში არსებობს გლოტალური ხშულის სხვადასხვა ტიპები. ზოგიერთ ენაში ისინი ხშულთა სერიის ჩვეულებრივ ნაწილს შეადგენენ. ასეა ეს პავაიურში, სადაც მხოლოდ რვა კონტრასტული თანხმოვანია: *pama, nana, lana, 'a'a, mana, wana, ka'a, ha'a*. გლოტალური ხშვა (ჟ) წარმოდგენილია ზანური ენის დიალექტებშიც.

სხვაგან გლოტალურ ხშვას აქვს დემარკაციული ფუნქცია და გამოყოფს ფრაზას ან პროსოდიულ ერთეულს. ამ ტიპისაა ხშირად სიტყვის ხმოვითი ანლაუტი (მაგ., გერმანულში). სხვა ენებში გლოტალური ხშულები ფუნქციონირებენ, როგორც ფონაციური ტიპის ვარიაციები. ასე მაგალითად, პუატლა მაზატეკში გლოტალური ხშული ხანდახან ფუნქციონირებს, როგორც სრული ხშული და ხანდახან – როგორც მომდევნო ხმოვნის ლარინგალიზაცია (Ladefoged, Maddieson, 2006: 74).

ენათა უმრავლესობაში გლოტალურ ხშულებს აქვთ მიდრეკილება მოხსნან სრული ხშვა, განსაკუთრებით, ინტერეოკალურ პოზიციაში. ნამდვილი ხშულის ნაცვლად ვოკალურ ნაკადს ედება ძალზე შემჭიდროებული ფორმა ჭრიალა (creaky) ბეკრისა, ან მკვეთრი (stiff) ფონაციის რაღაც უფრო ნაკლებ ექსტრემალური ფორმა. ნამდვილი ხშულები გვხვდება მხოლოდ გემინაციის შემთხვევაში. ამის საილუსტრაციოდ ლადეფოგედს მოჰყავს ლიბანურ არაბულზე მტყვევლის მაგალითი. იგი ერთმანეთს ადარებს სიტყვებს fa'ir „ღარიბი“ და fa'ar „გაღარიბება“. სურათზე ჩანს გრძელი უბევრო ხშვის პერიოდი გემინირებული თანხმოვნისათვის, ხოლო ცალი თანხმოვანი წარმოითქმის არარეგულარული შევიწროებული (კომპრესიული) ყლვით.

გლოტალური ხშვა ამკარად ხელს უშლის ლარინგალური დრუს რაიმე სახის ვარირებას, ამიტომ არ მოველით, რომ გლოტალურ ხშულებში იყოს განსხვავება ამ მიმართულებით. მაგრამ

არის ენები, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს ჰქონდეთ მჟღერი და ყრუ გლოტალური ხშულების კონტრასტი. თუმცა აშკარაა, რომ ეს ასე ვერ იქნება. ერთი ასეთი ენა არის გიმი, ახალი გვინის ჰაუსური ენა. გიმის აქვს ხშულთა სისტემა, რომელიც შედგება მჟღერი და ყრუ არასპირირებული ხშულებისაგან ბილაბიალურ და ალვეოლარულ რიგში. იქ, სადაც მეზობელ ენათა შესატყვის ფორმებში გვაქვს *k* და *g*, გიმის აქვს გლოტალური ხშული *k*-ს ადგილას და სეგმენტი, რომელსაც აღვნიშნავთ ვარსკვლავით /\*/, — *g*-ს ადგილას. ფონოლოგიური თვალსაზრისით ეს სეგმენტი მოქმედებს როგორც გლოტალური ხშული, რადგან ელინდება იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გლოტალურ ხშულს მოითხოვენ გარემოცვის გამო. აკუსტიკურ სურათზე ჩანს, რომ გლოტალური ხშვა უკავშირდება გრძელ უბგერო მომენტს, ხოლო /\*/-ით აღნიშნული ბგერა ავლენს ამპლიტუდის ძლიერ შემცირებას მეზობელ ხმოვნებს შორის, და არ არსებობს არავითარი მითითება ხშვაზე, გლოტალური იქნება ეს თუ სხვაგვარი. ლადეფოგედი ასკენის, რომ /\*/ გიმში მჟღერია, და მოიცავს რაღაც გლოტალურ აქტივობას, მაგრამ მას უნდა ეწოდოს უფრო ჭრიალა მჟღერობის გლოტალური აპროქსიმანტი და არა ხშული. ამგვარად, გიმი დისტინქციური ფუნქციით იყენებს იმას, რაც სხვა ენებში უბრალოდ გლოტალურ ხშულთა ვარიაციის შესაძლებლობაა. სხვა შემთხვევა, როდესაც ითვლება, რომ ენას აქვს მჟღერი გლოტალური ხშული, არის ჯინგფო, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს ტონის სახესხვაობებთან. ლადეფოგედი ფიქრობს, რომ მჟღერი გლოტალური ხშული ფონეტიკურად შესაძლებელ არტიკულაციად უნდა ჩაითვალოს.

ლადეფოგედი და მელისონი მიუთითებენ, რომ ენებში შესაძლებელია არსებობდეს გემინირებული გლოტალური ხშული. დადასტურებულია ის, მაგალითად, დაპალომი.

წიგნში „ხმოვნები და თანხმოვნები“ ლადეფოგედი იძლევა გლოტალური ხშულები ფონემების — ეიექტივების — პრაქტიკულ აღწერას და მითითებებს იძლევა მათი წარმოქმნის დაუფლებისათვის. იგი მიუთითებს, რომ გლოტალური ხშული ფონეტიკურად არსებობს ინგლისურ ენაშიც, მაგ., სიტყვაში *bat'n* [batton]. ამ დროს სახმო სიმები დახშულია და წარმოქმნიან გლოტალურ თანხმოვანს. ზოგიერთ ენაში გლოტალური ხშული სხვაგვარად შეიძლება წარმოიქმნას. მეტყველი დახშულ სახმო სიმებს ზემოთ სწევს და ამით წნეხავს ჰაერს პირის ღრუში. იგი მკითხველს ურჩევს წარმოთქვას გლოტალური ხშული ისეთი სიტყვის ბოლოს, როგორიცაა *sock*. ჩაისუნთქეთ ღრმად, თქვით *ak k*-ს განხშვის გარეშე სუნთქვის შეკავებისას. დაახლოებით ერთი წამის შემდეგ გააკეთეთ განხშვა *k*-სთვის, ჯერ კიდევ უსუნთქველად. თქვენ გაიგონებთ მსუბუქე ტყავანის ხმას. ამ ტიპის ბგერებს ეწოდება ეიექტივები. (Ladefoged, 2006: 147). ველარული *k*'-ს წარმოქმნისას ხდება ფარინგის კუნთების კონტრაქცია, რაც უფრო ამარგებს კელსებს; დაკეტილი სახმო სიმები მოძრაობენ ზევით და წნეხვენ ჰაერს *k*'-ს ხშვის უკან. სანამ ისინი დაკეტილია, *k*'-ს ხშვა იხსნება, რის შედეგადაც წარმოიქმნება უფრო მაღალი ბგერა, ვიდრე ჩვეულებრივი *k* (Ladefoged, 2006: 147-148). უფრო ძნელია ლაბიალური ეიექტივი *p*'-ს წარმოქმნა. ეიექტივი *p*' უფრო სუსტი ბგერაა, ვიდრე ეიექტივი *k*'.

გიორგი ახვლედიანს შენიშნული აქვს გლოტალიზაციის განსხვავებული ხარისხი წარმოების ადგილის თვალსაზრისით. იგი თვლის, რომ ქართულში /*χ*/-ს ნაკლები სიმკვეთრე ახასიათებს /*χ*/-სა და /*ჭ*/-სთან შედარებით. /*χ*/-ს ნაკლებ სიმკვეთრეს /*კ* ტ/-სთან შედარებით ის ასეთ განმარტებას აძლევს: სამ ასპირატს /*ქ* თ ფ/ შორის /ფ/ ყველაზე მეტი ფშვინით არის ნაწარმოები. თუ /*χ*/-ს აკლია მკვეთრობა, სამაგიეროდ, /ფ/-ს ზედმეტი აქვს ასპირაცია და ამიტომ მათ შორის საკმაოდ არის დაცული განსხვავება სიტყვათა განსასხვავებლად. იგი



გამოთქვამს ვარაუდს, რომ /ჰ/-ს ნაკლები მკვეთრობა საერთო მოვლენა შეიძლება იყოს ენებისათვის (ახვლედიანი, 1999: 369-370).

რ. იაკობსონი ფიქრობდა, რომ ეიექტივები, იმპლოზივები და კლიქები ერთი დისტინქციური ნიშნის: checked – unchecked – სახესხვაობებს წარმოადგენენ, ისინი ერთი ფონემური კატეგორიის ვარიანტებს წარმოადგენენ (Jakobson, 1969: 54). ქართული ენის ხშულთა სამეულებრივ სისტემას ის ორი დიფერენციალური ნიშნის: დაჭიმული – არადაჭიმული (tense – lax) და გლოტალიზებული – არაგლოტალიზებული (checked – unchecked) ბინარული ოპოზიციების საფუძველზე ანალიზებს (იქვე, 49).

გლოტალურ ხშულს იაკობსონი, ფანტი და ჰალე ხ-სთან ერთად გლაიდად მიიჩნევენ. მათი აზრით, ხშოვანთაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ აქვთ ან არაჰარმონიული წყარო (h-სთვის), ან წყაროს მკვეთრი ჩართვა ('-სთვის). თანხმოვნებისაგან ისინი განსხვავდებიან სპექტრში ნიშნადი ნულების უქონლობით. გლაიდები წარმოიქმნებიან ჰერნაკადის გაელისას სახმო ნაპრალში ან შევიწროებისას, ან მისი მკვეთრი გახსნისას, რასაც წინ უსწრებს სრული დახშვა. გლაიდები არ არის მსოფლიოს მრავალ ენაში (Jakobson, Fant, Halle, 1955: 178).

გლოტალიზებულ თანხმოვნებს ისინი ასე ახასიათებენ: აკუსტიკური თვალსაზრისით გლოტალიზებულ ბგერას მკვეთრი დაბოლოება აქვს. სპექტროგრამაზე ეს აისახება გამოკვეთილი ზოლით, თუმცა იგი ჩვეულებრივ ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც მკვეთრი დასაწყისი. წარმოება: ჰერნაკაი წყდება სახმო ნაპრალის შევიწროების ან ხშვის შედეგად. იმ ენებში, სადაც არსებობს გლოტალიზაციის კორელაცია, გლოტალიზებული გლაიდი ისე შეეფარდება არაგლოტალიზებულს, როგორც გლოტალიზებული თანხმოვანი – არაგლოტალიზებულს (Jakobson, Fant, Halle, 1955: 184).

გლოტალიზებულ ფონემათა სისტემის რეალიზაციის თვალსაზრისით საინტერესოა ტლინგიტი, ჩრდილო ამერიკულ ენათა ნა-დენეს შტოს ენა, რომელიც გავრცელებულია ალასკაში. ამ ენაში 15 ეიექტივია. სისტემა უადრესად სიმეტრიულია. დასტურდება წარმოების ყველა რეგარობის და ადგილის ეიექტივი: ხშული, აფრიკატი, ფრიკატივი. ველარულ და უველარულ რიგებში წარმოდგენილია ლაბიალიზებული ეიექტივები. წარმოდგენილია საკუთრივ გლოტალური ხშულიც. არ არის ბილაბიალური ხშული ეიექტივი, მაგრამ ამ რიგში არ არის წარმოდგენილი არც ასპირირებული და არაასპირირებული ხშულები.

ქართულში გვაქვს შემდეგი გლოტალიზებული თანხმოვნები: /ჰ ტ ჟ ჭ კ ყ/. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ღირებულება აქვს გიორგი ახვლედიანის მოსაზრებებს ამ საკითხების შესახებ. იგი სამართლიანად მიუიბოძებს, რომ ტერმინი *ყლხშული* არ შეეფერება სრულ სინამდვილეს, რადგან ამ უსუნთქველ თანხმოვანთა წარმოება შესაძლებელია ყველადუხშველადაც. მართალია, როგორც წესი, უსუნთქველ თანხმოვანთა წარმოქმნისას სახმო სიმები დახურულია და ამის გამო ჰერის ნაკადი არ ამოზინარეობს სასუნთქიდან, მაგრამ ჰერნაკადის ამოღინების შეწყვეტა შესაძლებელია სახმო სიმების დაუკეტავადაც. თუ ამოვცლით ფილტვებიდან ჰერს ერთბაში ძლიერი ამოსუნთქვით ან თანდათანობით (მაგ., რომელიმე სუნთქვიერი ბგერის ზედიზედ ხანგრძლივი გამეორებით), ისე, რომ შესუნთქვა არ ხდებოდეს, ჩვენ შევძლებთ წარმოვთქვით მხოლოდ უსუნთქველი თანხმოვნები. რადგანაც ჰერნაკადის მიწოდება შეწყვეტილია, ამიტომ საწარმოთქმოდ გამოიყენება ღია ზესაღამ მილში (კერძოდ, პირის ღრუში) მყოფი ჰერი, რომელიც, თავისი სიმცირისა და სასუნთქიდან ამოწოდებული ჰერნაკადის წყაროსთან კავშირის შეწყვეტის გამო, საკმარისი არაა ჩვეულებრივი

ხანგრძლივობის ხშულის წარმოსათქმელად: აუცილებელი ხდება მეტი სისწრაფით წარმოქმნა (ახელედიანი, 1999: 81).

ამგვარად, იკვეთება გლოტალიზებულთა შემდეგი მახასიათებელი: შედარებით მცირე გრძლივობა.

ამ ფონმათა აღსანიშნად გიორგი ახვლედიანმა 1938 წელს შემოგვთავაზა ტერმინი *აბრუპტივი* (ლათ. *abruptio* „მოწყვეტა, მოგლეჯა“), ამას იგი ასე ასახულებს: „მართლაც, საარტიკულაციო ორგანოები სწრაფად მოსწყდებიან ერთმანეთს და აკუსტიკურადაც მოწყვეტის შთაბეჭდილება გვაქვს“.

აბრუპტივია აგრეთვე სახმო სიმების ხშვა-სკლომით წარმოქმნილი ბგერა, ისეთი, როგორიცაა მვერულის /ჲ/ და გერმანული ენის მაგარი შემართვა. ეს ბგერა ბგერ სხვა ენაშიც არის. ამ ბგერისათვის სახმო სიმები გამოიყენება საარტიკულაციო ორგანოს ფუნქციით (ახელედიანი, 1999: 80-81). გ. ახვლედიანი ქართულ მკვეთრ /პ ტ კ ყ წ ჭ-ს განიხილავს *tenuis-mediae* ფონეტიკური დაპირისპირების ჩარჩოში.

გლოტალიზებული თანხმოვნები დამახასიათებელია კავკასიის ენების ღიდი უძრავლესობისთვის, მაგრამ სხვადასხვა ენაში მათ სხვადასხვა საეციფიკა აქვთ. ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ ქართველური გლოტალიზებულების ხასიათი მთის კავკასიურ ენათა და სხვა ენათა ყელხშულებთან მიმართებით. ასე მაგალითად, საინტერესოა საკითხი, ქართველური აბრუპტივები აფხაზურ-ადიღურ პრერუპტივებთან უფრო ახლოს დგანან თუ ყელხშულებთან. ამ საკითხის გარკვევას იძლევა ჩვენი ნაშრომის ღიდი ნაწილი.

3. მუხარდტი ქართული /კ ტ პ/-სათვის ხმარობდა ტერმინს *მგარი* (*hart*) *რბილ* (*weich*) /ქ თ ფ/-ს საპირისპიროდ. ქართულში თავისებური ხშულების არსებობა შენიშნული აქპონდა ზივერსს (*Sievers, 1901: 141*).

გ. ახვლედიანი იძლევა მკვეთრობის იერარქიას: ტ>კ>პ. ამ იერარქიას იგი ასე ხსნის: თუ მკვეთრობას დაუკავშირებთ პაერნაკადის სწრაფი ჯახების შეგრძნებას, — პაერის ღენის შეწყვეტა სახმო სიმთა დახშულობის გამო მოითხოვს ორგანოთა სწრაფ მოძრაობას; სწრაფი მოძრაობა კი შეუძლია უფრო მეტად წინა ენას და უფრო ნაკლებად ბაგეებს. პ-ს მკვეთრობის დაბალი ხარისხი და მისი მარგინალური ადგილი მკვეთრების სისტემაში მას ადრევე ჰქონდა შენიშნული და გაანალიზებული.

გ. ახვლედიანმა პირველად გამოიყენა პალატოგრაფიის მეთოდი ქართული ბგერების მიმართ. მკვეთრი ტ-ს, ყრუ ფშვინვიერი თ-ს და მჟღერი დ-ს პალატოგრაფების მიხედვით კარგად ჩანს ენის მაგარ სასათან შეხების კანონზომიერება. მკვეთრი ტ-ს წარმოთქმისას ყველაზე მეტია ენის წინა ნაწილის ზურგის შეხების სიფართოვე მაგარი სასის წინა ნაწილში, უფრო შემცირებულია შეხების სიფართოვე მჟღერი დ-ს წარმოთქმისას და კიდევ უფრო შემცირებულია ყრუ ფშვინვიერი თ-ს წარმოთქმისას (ახვლედიანი, 1922: 124). ამრიგად, გიორგი ახვლედიანმა დაადგინა ქართული მკვეთრების, მჟღერების და ფშვინვიერების იერარქია დაჭიმულობისა და, შესაბამისად, ინტენსივობის თვალსაზრისით: მკვეთრი > მჟღერი > ფშვინვიერი.

ა. ჩარგეიშვილის ლარინგოსკოპიური დაკვირვებით, ქართული მკვეთრების წარმოთქმის დროს ხდება დამატებითი ხშვა-სკლომა ხორხში (ჩარგეიშვილი, 1942: 862).

ს. ჟღერტი ასე ახასიათებს გლოტალიზებულ თანხმოვნებს: მკვეთრ თანხმოვნებს, ყრუ ხშული ფშვინვიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, ახასიათებს ხშვის ადგილას საწარმოთქმო

ორგანოთა განსაკუთრებული დაჭიმულობა. ამიტომ ამ ტიპის თანხმობები არტიკულაციურად უფრო მეტი ენერგიულობითა და სიძლიერით წარმოითქმან, ვიდრე ყრუ ფშვინეირები და მყლერი ხშულები (ჟღენტი, 1956: 106). ამრიგად, გამოიყოფა გლოტალიზებულების მნიშვნელოვანი მახასიათებელი: არტიკულაციური დაჭიმულობა და სიძლიერე. ს. ჟღენტი ფიქრობს, რომ სიმკვეთრეს ცალ-ცალკე ვერ წარმოქმნის ვერც მხოლოდ სახმო სიმების დახშვა და ვერც მხოლოდ საწარმოთქმო ორგანოთა დაჭიმულობა. მკვეთრების მისაღებად აუცილებელია ამ ორივე ფაქტორის არსებობა. ს. ჟღენტი ყელხშული არტიკულაციის აღსანიშნავად კარგ ტერმინად მიიჩნევს ლარინგალიზაციას (ჟღენტი, 1956: 109). ს. ჟღენტს წარმოდგენილი აქვს ყველა ქართული მკვეთრის პალატოგრამები (გვ. 109-129).

ყელხშულობასთან დაკავშირებით იგი ადასტურებს ე. ზივერსის, რუსლოსა და რ. შორის ექსპერიმენტების შედეგებს, რომ ქართული მკვეთრების წარმოთქმისას ადგილი აქვს სახმო სიმების დაკეტვას. პირში სკლომის შედეგად მხოლოდ პირის ღრუში მყოფი ჰაერი გამოდის ხორხის ზემოთ აწვეითა და ხორხში ხშვის და სკლომის მოხდენით, რაც უშუალოდ მოსდევს პირის ღრუში ექსპლოზიას. რუსლომ მეგრული მკვეთრებიც შეისწავლა ქართულ მკვეთრებთან ერთად, ხოლო რ. შორმა ქართული და ჭანური მკვეთრები გამოიკვლია ექსპერიმენტულად.

ქართველურ ენათა გლოტალიზებულები გ. ახვლედიანის შრომების გარდა გაანალიზებულა ს. ჟღენტის, ნ. იმნაძის; ნ. კიხიჩიას ი. ლეჟავას შრომებში (იხ. ლიტერატურა).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გლოტალიზებული /ყ/ ფონემის რაგვარობის საკითხს. ა. ჩარგვიშვილმა ექსპერიმენტულად გამოავლინა ყ ბგერის სპირანთოიდული კომპონენტი. იგი მიუთითებდა იმაზეც, რომ არსებობს „ყ-ს მეტნაკლებად გავრძელებული წარმოთქმის შესაძლებლობა“ (ჩარგვიშვილი, 1946: 537-542). თ. გამყრელიძე ყ-ს სპირანთოიდული ბუნების გათვალისწინებით, აგრეთვე ზოგადფონეტიკურ კანონზომიერებაზე დამყარებით, რომ ფარინგალურ ზონაში შეუძლებელია სრული ხშვა და ქართული ენის ფონოტაქტიკური სისტემის საფუძველზე – ყ ფონმა ღ ხ ნაპარალოვნებთან ერთად ქნის დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემას, თელის, რომ ყ უნდა კვალთფიცირდებოდეს როგორც სპირანტი (გამყრელიძე, 2000: 249-256). ლადეფოგელი და მელისონი ქართულ ყ-ს უველარულ ხშულად მიიჩნევენ. ისინი მიუთითებენ, რომ უველარული ეიექტივი საკმაოდ გავრცელებული მსოფლიოს ენებში, გვაქვს კავკასიაში, ბევრ ჩრდილო-ამერიკულ ენაში: მაგ. ჰადა, ვინტუ, სამხრ.-აღმ. პომო, სალიშურ ენათა უმრავლესობა (Ladefoged, Maddieson, 2006: 78). ჩვენს მომდევნო ანალიზში მასალის დალაგების თვალსაზრისით შედარებით ადეკვატური აღმოჩნდა ყ-ს სხვა გლოტალიზებულებთან ერთად /პ ტ წ ჭ ქ / ერთი კლასის ფარგლებში განხილვა. ამ კლასში ერთიანდებიან ხშულ-მსკლომები /პ ტ წ / და ხშულ-ნაპარალოვნები /წ ჭ/. ჩვენი განხილვის ფარგლებში ყ შესაძლებელია ხშულ-ნაპარალოვნად მივიჩნიოთ და ამგვარად გაეთვალისწინოთ მისი სპირანთოიდული ბუნება.

გიორგი ახვლედიანმა ოსურში ქართულიდან ნასესხები მასალის საფუძველზე გამოავლინა აბრუპტივთა დისიმილაციური გამყლერების კანონზომიერი ტენდენცია, ანუ მათი მიდრეკილება დისიმილაციური შეერთებისაკენ. მან კავკასიურ ენათა მასალაზე ადრევე გამოავლინა კანონზომიერება, რომელიც შემდგომ უნივერსალური კანონზომიერება აღმოჩნდა (გრინბერგი).

მაგალითად: ირონ. *მარჭი*, დიგ. *მარკი* – ქართ. *მარკი*, ირ. *მარჯსჭო*, დიგ. *მარჯსკ* – ქართ. *მარასკევი*, *მატარა* – *მატარა*, *ბერკა* – *ბრკე* <მე.ქართ. ბრკე (ახვლედიანი, 1999: 382).

ამავე ტიპის დისიმილაციური გამჟღავნება გამოავლინა გ. ახვლედიანმა სვანურ ენაშიც. მაგალითად: სვან. ძალტო – ქართ. ძალტო, ძაძ – ძაძა, გაკ – კაკალი, ძეტრე – პეტრე, ძირწამძლ – ძირწამძლი, ჯაჭპარ – ჭაჭებო.

ზშულთა დისიმილაციური კომბინირების წესი მოქმედებდა ძველ ქართულშიც, ახალ ქართულში კი იგი აღარ მოქმედებს:

ძე. ქართ. მჟღერი	>	ახ. ქართ. მკვეთრი
წყუელ-/წყვლ-		წყვეტ-/წყვიტ-
წრელ-		წრეტ-
ბრკე		პრკე
ებისკოპოსი		ეპისკოპოსი
ეპისტოლე		ეპისტოლე

მოგვიანებით ვ. გრინბერგმა დაადგინა, რომ გლოტალიზებულია მიღრეკილება დისიმილაციური კომბინირებისაკენ უნივერსალურ კანონზომიერებას წარმოადგენს. ახალ ქართულსა და მგერულ-ლაზურში ამ წესის მოქმედების შეწყვეტა ჩვენს წინაშე სვამს საკითხს, ზომ არ შემოვირდა გლოტალიზაციის ხარისხი ქართულსა და მგერულ-ლაზურში. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაგვეცეს ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილმა ექსპერიმენტულმა კვლევამ.

ამრიგად, გლოტალიზაცია საკმაოდ რთულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს. მას ახასიათებს ზშვა ან შევიწროება ყელში, ლარინგის მოძრაობა ზემოთ, საწარმოთქმო ორგანოების ძლიერი დაჭიმულობა, მცირე გრძლივობა. აკუსტიკურად მას ახასიათებს მაღალი ინტენსივობა, სიმკვეთრე, ტაკტანის ზმა დამართვისას.

გლოტალიზებული თანხმოვნების აღსანიშნავად იხმარება ტერმინები: გლოტალიზებული, ლარინგალიზებული, ყელზშული, აბრუბტივი, მკვეთრი, ეიექტივი, რეკურსიული, რომლებიც მათი წარმოებისა და აკუსტიკური ეფექტის სხვადასხვა მხარეებს შეესაბამებიან.

გლოტალიზაციის ნიშნის რთული აგებულება განსაზღვრავს ამ ნიშნის მქონე ბგერათა ვარიაციებს მსოფლიოს ენებში. ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გლოტალიზაციის ნიშნის მქონე ფონემათა ფონეტიკური ვარიანტების სრული გამოვლენა, მის შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთმიმართების გარკვევა. გლოტალიზაციის ნიშნის თვალსაზრისით ვარიაციას ავლენენ ქართველური ენები და დიალექტები. ამ მრავალგვარობის ფონეტიკური და ფუნქციონალური შესწავლა კავკასიისა და გლოტალიზებულ ფონემათა მქონე სხვა ენების მასალის ფონზე შეადგენს სწორედ ჩვენს ამოცანას. გლოტალიზაციის ნიშანთან დაკავშირებულ პრობლემურ თეორიულ საკითხებზე მსჯელობას გვაგვარძელებთ ნაშრომის დასკვნით ნაწილში, ჩვენს მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის საფუძველზე.

**ლიტერატურა**

1. ახვლედიანი გიორგი, 1922/1923: მკვეთრი ზშულნი ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის მოაზბე, ტ. II, გვ. 113-128.
2. ახვლედიანი გიორგი, 1941: ოსური ენის ისტორიისათვის, III, ზშულთა დისიმილაციური გამჟღავნება ოსურში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, გვ. 41-44.
3. ახვლედიანი გიორგი, 1999: ზოგადი ფონეტიკის საფუძველები (მეორე გამოცემა), თბილისი.
4. გამყრელიძე თამაზ, 1989: წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა,

- თსუ გამომცემლობა, თბილისი.
5. გამყრელიძე თამაზ 2000: ქართულ თანხმოვანთა განდასება (ველარი ყ და პოსტველარი ჳ საირანტები ქართულში, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი თსუ-ს გამომცემლობა.
  6. იმნაძე ნათელა, 1981: ზანური ენის მგერული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, მეცნიერება, თბილისი.
  7. კიზირია ნანა, 1989: ჳანურის ბგერითი შედგენილობა, მეცნიერება, თბილისი.
  8. ლეჟავა ივანე, 2007: დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II.
  9. მელიქიშვილი ირინე, 1976: მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, "მეცნიერება".
  10. ჟღენტი სერგი, 1949: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.
  11. ჟღენტი სერგი, 1956: ქართული ენის ფონეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
  12. სუხიშვილი მურმან, 2007: ფშვინვიერ ჳშულთა რეგრესულ-დისტანციური გამჟღერებისათვის სვანურში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II.
  13. ჩარგვიშვილი არჩილ, 1946: ქართული ჳ ყ თანხმოვანთა ბიომექანიკის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე.
  14. Гринберг Джозеф, 1964: Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, 4.
  15. Миллер Всеволод, 1882: Осетинские этюды, II, М.
  16. Трубецкой Николай, 1960: Основы фонологии, М.
  17. Beck, David, 2006: The Emergence of Ejective Fricatives in Upper Necaxa Totonac, University of Alberta, Working Papers in Linguistics 1, 1-16.
  18. Campbell, Lyle, 1973: On Glottalic Consonants, International Journal of American Linguistics, 39, 44-46.
  19. Catford, John C., 1982: Fundamental Problems in Phonetics, Bloomington.
  20. Fallon, Paul, 2002: The Synchronic and Diachronic Phonology of Ejectives, Routledge.
  21. Gamkrelidze Nana, Lezhava Ivane, 1987: On the Problem of Acoustic Peculiarities of Stops in some Languages of Caucasian Area, Proceedings XIth International Congress of Phonetic Sciences, v. 3, Tallinn.
  22. Greenberg, Joseph H., 1970: Some Generalizations Concerning Glottalic Consonants, especially Implosives, International Journal of American Linguistics, v.36.
  23. Hogan, John T., 1976: An Analysis of Temporal Features of Ejective Consonants, Phonetica, 33: 275-284.
  24. Hockett, Charls F., 1955: A Manual of Phonology, Baltimore.
  25. Jakobson Roman, Fant Gunnar, Halle Moris, 1955: Preliminaries to Speech Analysis. The distinctive features and their correlates, „Technical Report“13, II. რუსული თარგმანი: 1962, Новое в лингвистике, II.
  26. Jakobson Roman, 1969: Ejectives, Implosives, Clicks, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 48-57.
  27. Jespersen, Otto, 1913: Lehrbuch der Phonetik, Leipzig.
  28. Kenstowicz, Michael & Kisserberth, Charles, 1979. Generative Phonology, Description and Theory, Academic Press, New York.

29. Ladefoged, Peter, 2006 (ბუნამე ვამოცემა): Vowels and Consonants, Blackwell Publishing.
30. Ladefoged, Peter & Maddieson, Ian, 2006: The Sounds of the Worlds Languages, Blackwell Publishing
31. Lindau, Mona, 1984: Phonetic Differences in Glottalic Consonants, *Journal of Phonetics*, 12, 147-55.
32. Lindsey, Geoffrey, Hayward, Katrina, Haruna, Andrew, 1992: Hausa Glottalic Consonants: A Laryngographic Study, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 55, 511-527.
33. Maddieson, Ian, Ramazan, Rajabov, Sonnenschein, Aaron, 1996: The Main Features of Tsez Phonetics, *Fieldwork Studies of Targeted Languages*, IV, UCLA WPP, Vol. 93.
34. Maddieson, Ian, Smith, Caroline L., Bessel, Nicola, 2001: Aspects of the Phonetics of Tlingit, *Anthropological Linguistics*, Vol. 43, No. 2, 135-176.
35. Malmberg, Bertil, 1963: *Phonetics*, New York, Dover Publications.
36. Sievers. Eduard, 1913: *Grundzüge der Phonetik*, Leipzig und Berlin.
37. Warner, Natasha, 1996: *Acoustic Characteristics of Ejectives in Ingush*, University of California, Berkeley.
38. Wright, Richard, Hargus, Sharon, Davis, Katharine, 2002: On the Categorization of Ejectives, data from Witsuwit'en, *Journal of the International Phonetic Association*, 32: 43-77.

გლოტალიზებული ფონემების განაწილებისა და ფუნქციონირების  
კანონზომიერებები საერთო-ქართველურში

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებზე და ეტიმოლოგიურ გამოკვლევებზე დამყარებით<sup>1</sup> შევადგინეთ გლოტალიზებულ ფონემათა შემცველი საერთო-ქართველური ფორმების სია. ამ სიის საფუძველზე ჩავატარეთ გლოტალიზაციის ნიშნის დისტრიბუციული და ფონოსტატისტიკური ანალიზი – დავადგინეთ საერთო-ქართველურ მასალაში გლოტალიზებულ ფონემათა საერთო სიხშირეები, გამოვავლინეთ გლოტალიზებულ ფონემათა კონტაქტური და დისტანციური შეერთებების შესაძლებლობები და რეალიზებულ შეერთებათა სიხშირეები.

ცხადია, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა აბსოლუტურ სიხშირულ მახასიათებლებს, არამედ ფონემებისა და მათგან შედგენილი სტრუქტურების ფუნქციონალურ იერარქიას – მეტი/ნაკლები ტიპის მიმართებას ოპოზიციურ ერთეულთა შორის. მასალა, რომლის საფუძველზეც არის შესრულებული ფონოსტატისტიკური და ფონოტაქტიკური ანალიზი, წარმოდგენილია დანართის სახით. ეს მასალა ძირითადად საერთო-ქართველური ძირებისაგან და არქაული ფუძეებისაგან შედგება, რადგან გლოტალიზებულები, როგორც მარკირებული ფონემები, არ შედიან საერთო-ქართველურში აფიქსურ მორფემათა შემადგენლობაში, თუ არ ჩავთვლით არქაულ ზმნურ ფუძეთა სუფიქსაციას.

საერთო-ქართველურ მასალაში გლოტალიზებული ფონემების საერთო სიხშირული მახასიათებლები ასეთია:

კ	112	–	27,25	%
ყ	99	–	24,08	%
ჭ	76	–	18,09	%
ტ	65	–	15,81	%
წ	48	–	11,68	%
პ	11	–	2,67	%

როგორც ვხედავთ, სიხშირე იზრდება წარმოების ადგილის უკან გადაწევისთან ერთად. განსხვავებას ქმნის ველარული /კ/-ს უფრო მაღალი სიხშირე, ვიდრე უველარული /ყ/-სი. ეს აიხსნება იმით, რომ /ყ/-სგან განსხვავებით /კ/ მინიმალური უნივერსალური კონსონანტიზმის ნაწილია. ზშულთა მინიმალური სისტემა შედგება ლაბიალური, დენტალური და ველარული ფონემებისაგან, /ყ/ კი, როგორც უველარული ან ფარინგალური ბგერა, არ არის მინიმალური კონსონანტიზმის ნაწილი.

1. კონტაქტური მიმდევრობები გლოტალიზებული ფონემებით

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვადგინოთ საერთო-ქართველურ ძირში გლოტალიზებულ თანხმოვანთა კომპლექსების განაწილების სურათი. საერთო-ქართველური კონსონანტური ჯგუფები შესწავლილი აქვს გ. მაჭავარიანს. ამ შესწავლის შედეგები წარმოდგენილია მისი წიგნის – „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ – ცალკე

გამოვიყენეთ ლექსიკონები: ფენრიხი, სარჯველაძე, 1990; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000; ჩუხუა, 2000-2003; Schmidt, 1962; Климов, 1964; Klimov, 1998; Fähnrich, 2007.

თავად (მაჭავარიანი, 1965: 77-96). ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს თანხმობანთკომპლექსების განაწილების სურათი წარმოვადგინოთ ძირითა ტიპებისა და ძირში პოზიციების გათვალისწინებით. საანალიზო მასალაში არ შევიტანეთ ნარეულქციალ თანხმობანთკომპლექსთა შემცველი ძირები. მასალის ასეთი შემოზღუდვა შეპირობებულია ჩვენი ამოცანით: დადგენილ იქნეს, თუ რა სახის პირველადი კომპლექსები აღდგება საერთო-ქართველურში. ამიტომ ჩვენს საანალიზო მასალაში არ შევიდა ისეთი ერთეულები, რომლებიც აღდგება როგორც ვოკალურ, ისე ნულვან საფეხურზე.

საერთო-ქართველური თანხმობანთკომპლექსების საკითხს უკავშირდება სიბილანტურ შესატყვისობათა ინტერპრეტაციის პრობლემა, რადგან კ. პ. შმიდტის მიერ შემოთავაზებული რეკონსტრუქციის მიღების შემთხვევაში კომპლექსთა რიცხვს სიბილანტი-ხშული ველარი ტიპის კომპლექსები უერთდება (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ: შმიდტი, 1962; 1978; 1995; 2000; მელიქიშვილი, 1980; 2001; Тестелец, 1995). კომპლექსთა ტიპებს ჩვენ სწორედ ამ ინტერპრეტაციის მიხედვით წარმოვადგენთ და შევეცდებით გავარკვიოთ, რას გვაძლევს ეს საერთო-ქართველურ თანხმობანთა სინტაგმატიკის ანალიზის თვალსაზრისით. ჩქამიერ კომპლექსთა გარკვეული ნაწილი ბგერწერით და რედუქციტირებულ ფორმებში დასტურდება. ჩვენ ამ მასალას ვითვალისწინებთ, რადგან ამ სტრუქტურული ტიპების გარეშე ძნელია როგორც სიბილანტურ შესატყვისობათა, ისე ჩქამიერთა კომპლექსების შესახებ დამაკმაყოფილებელი მსჯელობა.

ამრიგად, ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ გლოტალიზებულითა შემცველი კომპლექსები, დავადგინოთ მათი განაწილება ძირში პოზიციების მიხედვით და მათი ხმარების შეფარდებითი სიხშირეები საერთო-ქართველურ მასალაში. მასალას გავანალიზებთ ძირითა ტიპების მიხედვით. ჯერ წარმოვადგენთ კანონიკურ სტრუქტურათა (CVC-) ანალიზის შედეგებს, ხოლო შემდეგ არაკანონიკური სტრუქტურების შესწავლის შედეგებს.

გლოტალიზებული ფონემების შემცველი კომპლექსები ასეთი სიხშირით არის წარმოდგენილი საერთო-ქართველურ მასალაში:

ჭკ	18
ტყ	16
ჭყ	15
წყ	9
წკ	7
ტპ	6

როგორც ვხედავთ, საერთოდ არ დასტურდება ჰკ და ჰყ კომპლექსები, ხოლო A ტიპის კომპლექსების საერთო რაოდენობა სჭარბობს B ტიპის კომპლექსების საერთო რაოდენობას<sup>2</sup>.

**ა) CCVC- ტიპის ძირში წარმოდგენილი კომპლექსები**

ძირები, რომელთა თავიკიდურში დადასტურებულია CC თანხმობანთკომპლექსი, შემდეგ ქვეტიპებს ქმნიან: CCVS- CCSVS-, CCVC-, CCVSC-, CCSVC-.

წარმოვადგენთ ჩვენს ხელთ არსებულ მასალას:

\*ტყ- \*ტყაუ-, \*ტყარ-/ტყარ-, \*ტყებ-, \*ტყეუეც-, \*ტყელეშ-/ტყელიშ-, \*ტყორჩ-, \*ტყურბ-;  
 \*წყ- \*წყალ-, \*წყარ-, \*წყენ-;

<sup>2</sup> ტერმინებს: A და B ტიპის კომპლექსები – ვხმარობთ გიორგი ახვლედიანის აღნიშვნების შესაბამისად. A ტიპის კომპლექსებში მეორე წევრებია /გ, ქ, კ/ ხშულები, ხოლო B ტიპის კომპლექსებში /ღ, ხ, ყ/ ფონემები.



*\*ჭყ- \*ჭყალ-, \*ჭყალ-/ჭყელ-, \*ჭყან-, \*ჭყარ- „მწვერი“, \*ჭყარ-/ჭყარ- „წყრობა“, \*ჭყანედ-/ჭყანედი, \*ჭყერთა-, \*ჭყან-, \*ჭყანტ-/ჭყინტ-, \*ჭყიუ-, ჭყლელტ/ჭყლიტ-/ჭყლემბ-/ჭყლიმბ- \*ჭყუნ-;*  
*\*ტყ- \*ტყებ-, \*ტყერჩ-/ტყერჩ-, \*ტყეც-/ტყიცი-, \*ტყერ-/ტყირ-, \*ტყუნერ-/ტყუნირ-;*  
*\*ჭყ- \*ჭყალ-/ჭყელ-, \*ჭყამ-, \*ჭყარ-/ჭყერ-, \*ჭყარ-/ჭყარ-, \*ჭყელ-, \*ჭყუნარ-, \*ჭყუნოუ-, \*ჭყილ-, \*ჭყირ-, \*ჭყურ-*

ამ სტრუქტურებში ჩქამიერთა თავიკიდური კომპლექსები რაოდენობრივად ასე არის წარმოდგენილი:

B ტიპის კომპლექსები		A ტიპის კომპლექსები	
*ტყ	7	*ტკ	5
*წყ	3	-	
*ჭყ	11	*ჭკ	10

ბ) CVCC- ტიპის ძირში წარმოდგენილი კომპლექსები

ამ ტიპის ძირების ქვეტიპებია: CVCC-, CVSCC-, CVCCS-, SVCC-, CSVCC-, SVCCS-

დასტურდება შემდეგი კომპლექსები:

- \*ტყ *\*ბრტყ-, \*ბერტყ-, \*ბრტყუ-, \*ბურტყლ-, \*მატყლ-, \*რატყ-/რტყ-;*
- \*წყ *\*ბერწყ-/ბრწყ-, \*მარწყუ-, \*გრწყ-ილ-;*
- \*ჭყ *\*ჭეჭყ-;*
- \*ტკ *\*ბუტკ-;*
- \*წყკ *\*ბერწყკ-/ბრწყკ-, \*ბუწყკ-, \*ღრწყკ-, \*წეწყკ-, \*წიწყკ-, \*წუწყკ-, \*ბეწყკუ-;*
- \*ჭკკ *\*ბეჭკკ-/ბიჭკკ-, \*რეჭკკ-, \*ლაჭკკ-, \*ღეჭკკ-, \*ჭეჭკკ-, \*ჯაჭკკუ-, \*ჯინჭკკუ-, \*ჯინჭკკარ.*

B ტიპის კომპლექსები A ტიპის კომპლექსები

*ტყ	6	*ტკ	1
*წყ	3	*წყკ	7
*ჭყ	1	*ჭკკ	8

CVC- ტიპის ძირებში აქცესიური კომპლექსები არ აღდგება არც თავიკიდურ და არც

ბოლოკიდურ პოზიციაში.

გ) ძირთა არაკანონიკური სტრუქტურები

გლოტალიზებული ფონემები დასტურდება შემდეგ არაკანონიკურ სტრუქტურებში: CC-, CCV-/CCS-

CC- ტიპის ძირები დადასტურებულია ხშულთა შემდეგი კომპლექსების სახით:

A ტიპის დეცესიური კომპლექსები:

\*წყ- 2, \*ჭყ- 2;

აქცესიური კომპლექსები

CC- ტიპის სტრუქტურებში გლოტალიზებულთა შემცველი აქცესიური კომპლექსები ორ ძირშია აღდგენილი: \*კბ- და \*წღ-. ვფიქრობთ, რომ ეს ძირები ნარედუქციალ ფორმებს წარმოადგენენ: ისინი მიღებულია \*CVC-> CC- პროცესის შედეგად, სადაც დისტანციური აქცესიური მიმდევრობა კონტაქტურ აქცესიურ მიმდევრობად იქცა რედუქციის შედეგად, ხოლო საერთო-ქართველურში უფრო მიზანშეწონილია მათი აღდგენა \*CVC-/CC- სახით (როგორც ჩანს, საერთო-ქართველურში საერთოდ არ არსებობდა არანარედუქციალი აქცესიური კომპლექსები ის. მელიქიშვილი, 1999; 2009).

წარმოვადგენთ ამ ორი ფორმის ანალიზს, რომლებიც აქცესიური კომპლექსების სახით არის აღდგენილი საერთო-ქართველურში:

\*კბ- ქართ. კბ-უნ-ა, კბ-ილ-ო მეგრ. კობ-ირ-ო „კბილი“, კობ-ირ-ან-ს „კბენს“ ლაზ. ო-კობ-ინ-უ „კბენა“.

დღეს, ეჭვს გარეშეა, ქართული რუსულ ყრუებს მკვეთრებს უთანადებს. ასეთ შეთანადებას ეხვებით XVIII-XIX საუკუნის დოკუმენტებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში, ეი რუსულთან უკვე პირველი კონტაქტების დონეზე (იხ. ზემოთ წარმოდგენილი მასალა). ფშვინეირებით გადმოსული ლექსიკის დიდ ნაწილში გვაქვს მეზობლობა ფშვინის დიდი რაოდენობის მქონე აფრიკატებთან და ნაპრალოვანებთან და შესაძლებელია ასიმილაციის ვარაუდი. მეორე შესაძლებლობაა სესხება ისეთი ენობრივი ერთეულიდან (ან რუსული დიალექტიდან, ან შუამავალი, ეთქვათ თურქული წარმომავლობის ენიდან), სადაც ეს ფორმები ასპირაციას შეიცავდნენ. საინტერესოა, რომ თუმცა სოჭის ქართველთა მეტყველებაში რუსული ყრუები ბირითადად ქართული მკვეთრებით გადმოიღის, მაინც შედარებით მეტია ფშვინეირებით გადმოცემა (იხ. ქვემოთ).

რუსული ენის გზით შემოსული ინტერანციონალური ლექსიკის გადმოცემაში თავისებურებას თანამედროვე ნორმებთან მიმართებით გვიჩვენებს გალაკტიონ ტაბიძე. იგი მკვეთრებს უთანადებს რუსულ ყრუებს იმ შემთხვევებშიც, სადაც დღეს ფშვინეირებს ეხმარობთ, რადგან ისინი ინტერანციონალურ ლექსიკაში ასპირირებულებით არიან წარმოდგენილი: ლიუტრა, სკრაპკა, ესტეტური, არაესტეტიური, ტერმომეტრი, სიმპატიური, სინტეტიური, ენტუზიასტი, ენტუზიაზმი, ლიტერაგრაფიული, ეტნოგრაფიული, ფიზიოტერაპეუტი, ანტილოვია, აპატია, ტემ-თემა“;

იგი ქართულში დამკვიდრებული /ქტ/ კომპლექსის ნაცვლად, როგორც წესი, წერს /კტ/ კომპლექსს, ისე რომ, გალაკტიონი მისთვის განსაკუთრებული და იზოლირებული ფორმა არ არის: აქტი, ფაქტი, დუბეტაცი, დუბეტაციური, პუნქტი, კორექტურა, კორექტორი, აქტიური, აქტიურად, დორექტორი, (1958), რედაქტორი, პროფექტი, სექტორი, პროსექტი, პროსექტზე, პროსექტზე (1935), ოქტომბერი (1932,47), 10 ოქტ. (1939), მაგრამ იშვიათად მაინც გვხვდება ოქტომბერი, არქიტექტორი, ჰექტორაფი, კონტაქტი, ინტელექტუალური, ეპიშემლარი (1959), ეპოპოლოგი, ეპოპოლოგია, შდრ. ეპოპოლოგია, ინსტიტუტი, მოგვიანებით ჩნდება მასთან /ქტ/ კომპლექსი: კომპლექტი, რეტროსექტივი, ელექტრონი, ფაქტი, კოლექტივი, მარქტიკული, ტაქტიკა, რედაქტორი, პროფექტორი, პროსექტი, კორექტორი, ექსპერტატი, პერსექტივა, ასექტი (1947), შდრ. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული ფორმები /ქტ/ კომპლექსით: ელექტრონი, სექტორი, აქტი, ტაქტი, ფაქტი, სექტემბერი, ოქტომბერი, ოქტაეა, ნექტიური, პროექტი, პროდუქტი, პერსექტივა, ნექტარი, რედაქტორი, კორექტორი, დორექტორი, დოქტორი, ლექტორი და მრავალი სხვა.

/პც/ კომპლექსს ვხვდებით მასთან იქ, სადაც დღეს /ფც/ არის დამკვიდრებული: კონცეპტია:

გურამ დოჩანაშვილთან პერსონაჟთა მეტყველებაში ვხვდებით რუსული მეტყველების ტრანსლიტერაციის საინტერესო ნიმუშებს:

*რუკა, ტარკა, ბოჭკა-ძარონკიდან, საპონიკი* (დოჩანაშვილი, 2010: 286).

საინტერესოა სომეხი პერსონაჟის მეტყველების გადმოცემა: *დარდლა „დარტყა“*;

საინტერესოა რუსული ფორმების პერცეფცია ბავშვებთან. დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა კარნახისას რუსული /ჩრ/-ს ფარდად /ჭკ/ დაგვიწერეს: *დოჭკი/დოჩკა, ბოჭკა, ტოჭკა, ძუჭკა*; საინტერესოა აგრეთვე მათი დაწერილი ფორმები: *კტო, ჩტო, სძიჩკა, ლოდკა, პონჩიკი, ჰეჩკა*.

ამჟამად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც ინგლისური და გერმანული ყრუ თანხმონები, რომლებსაც გარკვეული მოცულობით ასპირაცია ახასიათებთ, ქართული ფშინიერებით იყოს გადმოცემული. ეფიქრობთ, აქ დიფერენცირებული მიდგომა საჭირო ფონემათა პოზიციის გათვალისწინებით. ქართული ფშინიერები გერმანიკულ ფშინიერებთან ფონეტიკურად იდენტური არ არის, რადგან გერმანიკული ფშინიერები დაჭიმული არტიკულაციით და მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან, ხოლო ქართული ფშინიერები არადაჭიმულია და სამეულში ყველაზე ნაკლები ინტენსივობისაა. ფშინვა ზოგ პოზიციაში ნაკლებია – ამ პოზიციებში გერმანიკულ ყრუებს გლოტალიზებული უფრო შეესაბამება.

ნაპრალოვნების შემდეგ, რომელი ენიდანაც არ უნდა გვექონდეს სესხება, მკვეთრები გვაქვს. ეს შესაბამისობაშია ყრუ ნაპრალოვანის შემდეგ ასპირაციის ნიშნის ნეიტრალიზაციის უნივერსალურ კანონზომიერებასთან და ამ პოზიციაში არასაპირიერებელი ხშულის გამოვლენასთან, იქნება ეს ფონემურ თუ სუბფონემურ დონეზე:

*სპ/სტ/სკ: სპიკერი, სპანიელი, სპიჩი, სტიკერი, სკანირება, სკულტერი;*

*ხტ: მუხტი, ტახტი, ლახტი, კონტა, ვახტა;*

*შტ: ტაშტი, მუშტი, კუშტი;*

/ჩტ/ კომპლექსის /ჭტ/-თი გადმოცემის შესახებ ზემოთ გვექონდა მსჯელობა.

### 3. რუსული ყრუების გადმოცემა ქართულ დიალექტებში

ჯერ წარმოვადგინოთ იმ ქართული დიალექტების მონაცემებს, რომლებსაც სამხრულ რუსულ დიალექტებთან აქვთ შეხება, ხოლო შემდეგ მთისა და ბარის დიალექტების მასალას.

სოჭის ქართულია მეტყველება (მიქიაშვილი, 2005: 186-195). არის შემთხვევები, როდესაც რუსული ყრუები ფშინიერებით გადმოდის: *კაშლივესკი, ქირჩიზები* киргизы, *დაქუმენტო, უზბეკები, ქედრო „კედარი“, კაზაქები, კბარდინსკი, მათალიონი, მათინკები, თურეცკი, რემთიზმი, კაშგოტი „კომპოტი“, ცეფი цепь, პრიოსიდატელი, ქურდიუკი курдюк, ქურჩერი, მაფანა шампань*.

გაცილებით უფრო ხშირად ყრუები გლოტალიზებულებით გადმოდის: *ჩორნაპუზი, იოლაკ, კაზონი, მანინონი, პლიონკა, კლუჩი, კრუჩოკი, შეკლუჩე „ჩართე“, კუნხა, ტუნიაცეფ ტუნეაშამ, პალუნა поляна, დესეტინა, ტრიაკკა, ტილივიზორი, პიხოტა, ჩიტვიორტიომ в четвёртом, კრასნი, ფოლტი, აკრუჟენია, აკარეებენ = качают, ტუმპუჩკა, კაიშა, ფეშტი, კაკასკი ვრანცია, მიკამანდროს, პუდოვი გირა, ვაენი ტანკ, დეკატტი შკოლაში, ფჩოლნი მალაკო, ვრაჟანსკი, ვეჩნი პასეუენია, სანკები, პრაგულკაზე, კალხოზი, ნანანიცკა, უჩაშკა*



участок, ასტავნიკი отставник, კაბუსტო капуста, მსუდი посуда, სტოლა, ატაიი этаж, მარიატის порядок, უნაშვის участок, პენა пена, ტროიკოპა тройца, გავაზამსკე, პრობა проба, ვოდკა, დაპაჩინკება, მადვალი, პლატკა, ისოვეტეს.

ყიზლარ-მოზლოკური ქართული – კაპლი, პერეგორიკი, ურტიელი, პრაზნიკები, პრითსიდატელი, პოუზდი, კუზნეცი, სტოლზე, ნაჩალსტვას, კანუშნაში, დოხთური, პოლნიმ ხოდომ წავიდა, კაკრუ ასტავნოი, სალდათები, ვისსაკაოი.

ამრიგად, სოჭის მეტყველებაში საკმაოდ აღმოჩნდა ფშენიერებით გადმოცემული ფორმა, მაგრამ მაინც, აქაც მკვეთრებით გადმოცემა ბევრად სჭარბობს.

#### მთის კილოები

ხევსურული – ატუკანტი, კუფანა, პრავოჭიკი переводчик პრავული пракол პრისტავი, კრუშკა, კარეტი, მოხუერი – აბეშკიი объездчик „ტყის მცველი“, არბიჭვი арбитр, არყანი аркан, კალაჩ კалач, კანძელი камзол, კარტოხა „კარტოფილი“, მშტანიკი подштанник, ბრიკაბრიკვა, მატალიონი батальон თუშური – პრიჭკაი, ტრუპკა, პლაში, პლატო, ატკაზღაკვარა, ფშური – პრიჭკაი, ტრუპკა, მთიულური – ტარელკები;

აღმოსავლური დიალექტები:

კახური, ქიზიფური – რეიკა, პრიკაში, კალხოზი, ზაასი, პეტრუშკა, ატკაში, აკოშკა, რაშკა, მადვალი, პოლი, ტაჭკა, პლატოი/პლატეი, გაპოლიოი;

#### დასავლური დიალექტები

იმერული, გურული – კაჭკა, ბოჭკა, კასრული; ლეჩხუმური – ოტკა, პიტონიკი „სანაშენე“, კრასკა, გაკრასკული, ფეჩი, ზღაფორთი хлопоты – ლეჩხ; აჭარული – სკლადები, ატკაში, ბოლტი, კრავოტი, კაჭკა, ტოლვი „ვაჭრობა“;

ინგილოური – კამკეტ „კამფეტი“, კარანტაშ карандаш, დმშყ „ფეხსაცმელი“, იშისკად „სანთი“, მარუც/პარუს „პაპიროსი“, ესტაქანისტაქან „ჭიქა“, მამორტ, ტალერკ, ქლენ შლენ, ტურამ ტრუბა.

ინგილოურში რუსული მფლერებიც ხშირად გლოტალიზებულებით გადმოიან: მალკონ ნაიკონ, პოტულკად/ბოტულკად бутылка, პოტენეს/პოდნოც поднос, მატალიონ – მატალიონი, პოჭკამ ბოჩკა, პრაზოტ пароход, კალეტ „გალეტი“.

მთელი რიგი სიტყვებისა გვხვდება თითქმის ყველა დიალექტში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ დიალექტებში რუსული ყრუები ძირითადად გლოტალიზებულებით გადმოიან, მხოლოდ რამდენიმე ლექსემაში არის დამკვიდრებული მათ შესატყვისად ფშენიერები. ეს ფორმებია: ფეჩი, სალდათა, დოხთური, ზღაფორთა, ფოშტა, სერთუკი, ლაშტა, ჩულქი და ზოგიერთი სხვა, რომლებიც ზემოთ გვაქვს განხილული.

#### 4. რუსული ყრუ თანხმოვნების გადმოცემა სვანურში

სვანურში რუსული ყრუები ძირითადად ასპირირებულებით გადმოიან: ქართოფილ/ქართობილ, ფითილ ფიტილი ФИТИЛЬ, მაკოფ, ფართიკუ „წინსაფარი“ фартук, ფარმუტ ყვალბი, ორგული“ паршивым, ფოშდა/ფოშტა ფოსტა почта, ფეჩი, სურდუქ „სერთუკი“ сюртук; მაგრამ: პილატოკი, პირისდატუ пристав, მპიროც/მპპიროზ, პანტა, კარავატ, რუბშკა.

## 5. რუსული ყრუების გადმოცემა მგერულში

მგერულში რუსული ყრუები ჩვეულებრივ გლოტალიზებულებით გადმოდის: *ქადვალო, პადრეთი портрет, პოეზი поэзия, ძალატკა, ძალანი, ძალკონიკი, ძარაზოლი, ძარონი паром, ძროლი/ძროლი „იატაკი“, კუბეცი, კუჭკა кучка, კრაოტი და სხვა მრავალი. მაგრამ არის გამონაკლისებიც. შდრ. ფეჩე – რუს. пещка. აქ მომდევნო ფშენივიერ /ჩ/-სთან უნდა იყოს ასიმილაცია.*

## 6. უცხო ენათა ყრუების გადმოცემა ლაზურში

ლაზურში ნასესხობათა უდიდეს ნაწილს ბერძნული და თურქული სიტყვები შეადგენს.

ბერძნული π, τ, κ ლაზურში გლოტალიზებულებით გადმოდის: *პოლი (ბერძნ. პოლი) „ქალაქი“, ძანტა (ბერძნ. პანტა) „მუღამ“, ძარამთი (ბერძნ. საუბარი), პოტე (ბერძნ. პოტე) „ოღესმე“.*

გლოტალიზებულები ენაცვლება ყრუ ფონემებს სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკაშიც: *პოლაკი „ფლავი“, ძაძხი, პეჩო „ფეჩი“, პირინდი/პრინდი „ბრინჯი“, ოპტომოპილი, კაბიანი „კაბიტანი“.*

## 7. გლოტალიზებულ ფონებათა გადმოცემა სიტყვათა სესხებისას კავკასიურ ენებში

### 7.1. ყრუ ხშულების გადმოცემა აფხაზურ-ადიღურ ენებში

აფხაზური ენის აშხარული დიალექტი. რუსული ენის კ ტ П აფხაზური ენის აშხარულ დიალექტში ჩვეულებრივ ფშენივიერი ქ თ ფ-ს სახით გადმოიცემა

сентябрь – *სენტაბრ/სენტაბრ* – ქართ. სექტემბერი,

стакан – *სთაქან* – ქართ. სტაქანი „ჭიქა“,

десятизна – *დესეთინა/დესეთენა* – ქართ. დესეტინა,

спирт – *ასპირთ* – ქართ. სპირტი,

совет – *ასავეთ* „საბჭო“,

тачанка – *ათანკა* – ქართ. ტანანკა „საზიდი“,

подвал – *ფადვალე* – ქართ. პადვალი,

поп – *ფოფე* – „მღვდელი“ შდრ. ქართ. ფოფოლია,

кило – *ჟ-ხ-ქლა-ე* – სამი კილო ხორცი,

мешок – *მეშოქ/მეშაქ* – „ტომარა“,

плагат – *ბლათიქ* – ქართ. დიალ. ლატოკი „ცხვირსახოცი“,

кучер – *ი-ქ-ჩრაგ-ე* – ქართ. კუჩერი „მეეტლე“,

ერთი შემთხვევაა კ-ს ყთი გადმოცემისა – Мужик – ამჟამ „გლეხი“ (ლომთათიძე, 1954).

ადიღური. ადიღურში რუსული ყრუები თითქმის უგამონაკლისოდ ასპირირებულებით გადმოდის (შაგიროვი, 1962: 157-175): *ქესთრულ, ქრუშქ, ფოდნოს, ფრიბუს, ბუთილქ, რუშქ, სთენან/სთენან „ჭიქა“, ძარზინქ, ქეროფქ „ყუთი“, სეთქ, ფინენ, მერქოუქქ „სტაფილი“, ქერტოქ „კარტოფილი“, ფაფიროს, ძართ „მარტი“, აფრელ, ფორთ, ფესილქ, თეჩანქ „ტანჩანკა“, რუქქ, ჭეთთან და მრავალი სხვა.*

ყელხშულთაგან მხოლოდ /ყ/-ს გხვდავთ რუსულიდან ნასესხობებში: *ყეძასყ „კომპოსტი“, ბეტყყ пятак „მონეტა“, ყეზყყ казак, მეყყყ мужик.*

ყაბარდოული. ყაბარდოულში, ადიღეურისაგან განსხვავებით, რუსული ყრუები გლოტალიზებულიებითაც გადმოდის (შაგიროვი, 1962: 157-175): *ბანჭ/ბანჯ* – „ქლა“, *ჭესირულ/კესტრელ* „ქაბა“, *კურუშკე* „კრუმკა“, *ბთულტვებთულკე* „ბოთლი“, *ვილკე* „ჩანგალი“, *ლოშტელოშკე* „ოვზი“, *ჭარზინჭეკ/ეარზინკე* „კალათა“, *სეტკე*, *სუშკე*, *შეკეთურ* „შტუკატური“, *ბულკე* „ბულიკი“, *ჭენქეთ/კენქეთ* „კამფეტი“, *ყებესთე* „კომბოსტო“, *ჭკახნე* *котна*, *სტოლ*, *შკაჭ* *ჭესთუშკე-ასათუშ* „კოსტიუმი“, *მაიკე*, *ჭერნიზ/კერნიზ*, *კონკერთ...* დაბოლოება *ка*, როგორც წესი, გადმოდის *კე-ს* სახით.

თუმცა არის ბევრი ნასესხობა, სადაც რუსული ყრუ ასპირირებულით გადმოდის: *ქითილ* „იტილნი“, *ქემოდ* „კამოდი“, *ფედნოს*, *ფირმუს*, *ბოთ* „ბოტი“, *ჩილ/ქილ* „კილო“, *ფუთ* „ფუთი“, *ზონდიქ*, *აფრელ* „აპრილი“, *დეკაბრ*, *თილიფონ*, *ფედალ*, *ვინთ*, *თეგარ*, *ქლუბ*, *ბიბლითეფქე*, *ფარქ*, *სოულენთ*, *ქლას*, *ფართ*, *ფირო*, *თიათარ* „თეატრი“.

გადმოცემის თანამედროვე სტანდარტი ასპირირებულებით გადმოტანა ჩანს. ასე გადმოდის კულტურული ლექსიკა: *ფისტილი*, *რედაქტურ*, *კითარე*, *ფოფესთ*, *ფერითრე...*

## 7.2. ნასესხობები დაღესტნურ ენებში

როგორც წესი, რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში გვაქვს ასპირირებულები, ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში კი – გლოტალიზებულები:

ზენქური. რუსულიდან – *სამოლეთ*, *ბილეთ*, *ქოლხოზ*, *კითარა*, *თელქენ*, *თხანკ* „ტანკი“.

ქართულიდან – *ფასტან* < ბოსტანი.

დიღორი. რუსულიდან: *ფერ*, *ტაქან*, *ქლხუზ*, *ფერმა*, *ფანარ*, *გორათ*, *სიკრითარ*, *ქაფრათ*, *ბინუთ*,

*ქილომეირა*, *ქელუბ*, *ვაზეთ*, *უშქულ/უშქოლა* (Бокарев, 1967: 418)

ქართულიდან – *კემოტ* < კამოდი, *მეკროტი* < მაკრატელი, *კარაშეტი* < კრამიტი, *ჭაღე* < ჭაღი, *შაჟენი* < საპონი.

ხვარშიული. რუსულიდან – *უშქოლ*, *ვაზეთ*, *ქლხოზ*, *ქელუბ*, *თურმა* < *трус*, *ორაქტურ*, *ისტოლ*;

ქართულიდან – *ჟოკო* < სოკო (Бокарев, 1967, 433).

პინუხური. რუსულიდან – *ქლხუზ*, *გორათ* *город* *ფერ*, *ქლას* *клас*, *ქრავათ* *кравать*, *ტას* *таз*, *უშქოლ*, *ჩაინქ* (Бокарев, 1967: 433).

ბეიტური.<sup>2</sup> რუსულიდან – *panidenniq*, *panar*, *palaienca*, *katilok*, *atviorka*, *kalendar*, *artel*, *metriqa*, *sestra*, *karan*, *setka*, *poet*, *uštēl*, *subota*, *koparat*, *kupec*, *sumka*, *permer*, *istapil*, *karawat*, *kuxna*, *peč*, *kit*, *papugay*, *čayka*, *kantinent*, *batari*, *kino*, *palasmas*, *matrac*, *rakowina*, *bank*, *alkiriika*, *tiliwizor*, *pijatnica*, *stornik*, *port*, *karaska*, *kanaw*, *šoika*, *naski*, *korolik*, *mator*, *matacik*, *tok*, *gazit*, *ručka*, *četverg*, *pol*, *yupka*, *toxtur*, *karakadil*, *poyez*, *kope*, *tualet*, *minister*, *perezident*, *samalo!*, *awtobus*, *tilipun*, *zakon*, *saldat*, *iškola*, *kirpič*, *palaš*, *piwo*, *tarakan*, *akula*, *akean*, *picka*; ჩენი მასალა: *pirsidatil*, *bočka*, *gazel*, *karavat* „საწოლი“, *kulub*, *paltu*, *peč*, *pička*, *patipun* „პატეფონი“, *kanser* „კონსერვი“. ქართულიდან ნასესხები სიტყვები – *zok'o*, *sakoneli*, *hayrip'alan*, *räč'ö*, *t'olba*, *k'awi*, *otaxi*, *c'ic'ak'a*, *ket'e*, *k'ampik'*, *p'ap'iros*, *bank'a*, *budk'a*, *mark'a*, *saq'dari*, *t'usač*, *topi*, *teli*, *k'obala*, *k'obola*, *bilik'i*, *c'ika*, *okko*, *müštük'*, *zok'o tammako*,

<sup>2</sup> მასალა ამოღებულია: WOLD The World Loanword Database ed. By Martin Haspelmath and Uri Tadmor <http://Wold.livingsources.org/>

*toqi, sast'uli, zat'uri, k'amur, santeli, ist'oli, koxi, sap'uni, ჭ'აგ'ალო, batink'a, c'inda, p'al't'o, nöp'ci, i'ilo, y'no, p'ilp'il, zeti, bäbä, k'obzi, küdäy, t'abak'o, k'artupeli, aklamo, bat'i, t'axe (WOLD).*

არჩობული. რუსულიდან – *qaban, kino, bank, motor, batarejka, maticik, ukol, tok, gazet, ištara, pelennin sutju, dudinka, mešajet kulas, ručka, učxol, učitel, četverg, panidelnik, nuluk, tabarzan, mušt'uk', peč, pol, jupka, semečkalin inx, tuxt'ur, nak'alij bokč, atworka, kope, marka, president, samalot, avt'abus, welesepet, tilipun, čij, zuk'un, sallat', banan, kirpič, ustul, piva (WOLD), ustul, istakan, telegrama, kolxoz, pioner, komuniz* (ჩვენი მასალა).

პუნჯბური. რუსულიდან – *აკოშკა, ბორჩა, ვაზეთ, ქრავათ, ქალხოზ, ქულუბ, ისტოლი, ფათიფუნ, თრაქტორ, თურბა „მილი“.*

ქართულიდან – *ყუთი, კობზი, კაბა, წინდა, პანტა, ბატი, კიტრი* (Бокарев, 433).

ლაკური. ლაკურშიც ასევე ფშვინევიერებით გადმოდის – *ფუთ пуд კაპიკ, учкыла, ккучец, ккарандаш, пуч почта, ккрукжива, n laytlym ფაეთი, ланна, пач печ, учитлы, губирнатур, начанникI, саллатI салдат, чинавник, истакан, клартлыз, nlanlyrus, испичка, nпаднус, блыт бялет, силистта следствиe, патIрун патрон, кканвирт, марка, кказит, nпарашук парашок* (Муркелинский, 1954).

ლეზგიური. ძველი სესხება რუსულიდან – *ქეფე „კაპიკი“, აფთექ, ფურთ „ფოსტა“, შუშქ < шапка, ქალხოზ.*

თაბასარანული. იგივე ვითარება – *kaalxuz, taank „ტანიკი“, დაკლად „მოსხენება“.*

ასეთივე ვითარებაა რუთულურში.

ულური. სესხება ჩვეულებრივ ხდება ქართულის მსგავსად – გლოტალიზებულებით: *აკუშკა, შკოლა, ტალეკ „თიფში“, მეშკე „ტომარა“, ტაჭკა, ჩუსტ, ავტომობილი/ავტამაბილი/ჭტამაბილი, ფაიტონ, კარტოფილი/კარტოპოლი/კარტოწილი, პამიდორ.*

ქართულიდან – *მატუშჯან < ბადრიჯანი, შამატ შაბათი, თოპრაქ/თოფრაქ, გოზინაყ/გოზნაყ, ზინკალ, ყოჭაღ/ყოჩაღ/ყოჩაზ, მჭანკალ, კორკოტ, კრამიტ, ბირინწ < ბრინჯი, წაბულ – წაბლი, ფარასკი – პარასკევი, ყუთი, კაბა, ჭატ < მჭადი,*

ფშვინევიერებით: *თოლმა, ფარასკი, თოფრაქ* (ჯეირანიშვილი, 1971)

### 7.3. ნასესხობები ჩეჩნურ-ინგუშურში

ჩეჩნური. *стол, тормоз, ботаника, батист, башлаж < башлык, башмаж, блок, бумаыштг < бумажшник, вилшпед, маскарад, аптека, тарактар, таракстар < трактор, шкшуол < школа, парти < партия, пиание:p < пионер, калхуозник < колхозник* (Дешериев, 1967)

ინგუშური. ძველი ნასესხობები – *მაკს < банка, კიღლა < кило, ქილოვჯალ < кляуза, ნაბხთიე: < (порма) на вахте, ფუჯღარ < пудра, ფოშტ < почта;*

ახალი ნასესხობები – *партия > парти, колхоз > колхоз* (Дешериев, 1967: 225)

ბაცბური. რუსული ვრუ > ბაცბური გლტალიზებული – *კომბაინ, კასილეკა, კლუბ, მარკა, ადღტ, მარად, მაქა, სუბ, ლამა, ტრაქტორ, პულიმეტ, ლეტჩიკ, კლუბ, კომბაინ, ბოლშევიკი, პიონერ, მარტიკა, მარკსიზმ* (Дешериев, 1967: 230);

ქართულიდან ნასესხები სიტყვები – *მაკრატა „მაკრატელი“, კვერ „კვერი“, წვერ „წვერი“, სილენებ, ფმა, კერ „კერა“, სწაულ, პირობ, რუქ „რუკა“, საბჭო, ფორან მარასკე „პარასკევი“, მანტ, მატეი, მატრუკი, პეპელ, პილაპილა, პიტალ, პიტნ, პრეკ ძე. ქ. ბრეკ, „ობი“, პროწოლ*

„ბროწეული“, ბოკრ „ბოხნა“, კომპოსტ“, კურკო „რკო“, სტომე „სტომეკი“, წიწმობ < ქართ. „წიწმატ“ (ჩვენი მასალა).

რუსულიდან ნასესხები სიტყვები (სავარაუდოდ ქართულის გავლით) – პოლე, პროკე „საცობი“, დამუორტ „აპასორტი“, ბოჩე „კასრი“, დოხტურ, კაზარმ „ყაზარმა“, კარანდაშ, კარტოფილ, კონვერტ, კრაოტ, სტაქან, სტოლ/შტოლ, სტუდენტ (ჩვენი მასალა).

შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსული ყრუ ხშულები მთის ჩრდილო კავკასიურ ენებში უფრო ხშირად ასპირირებულებით გადმოდის. განსხვავებას გვაძლევს მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებთა ენები: ბაცური და უდიური, რომლებშიც რუსული ყრუები გლოტალიზებულებით გადმოდიან, სავარაუდოა ქართული ენის გავლენა.

წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართულსა და მგრულ-ლაზურს ნასესხებ მასალაში უცხო ენათა ყრუების მკვეთრებით ჩანაცვლება ახასიათებთ, ხოლო სვანური – უფრო ასპირირებულებით გადმოსცემს სასესხებელი (რუსული) ენის ყრუ თანხმონებს. ამით იგი ახლოს დგას მთის კავკასიურ ენებთან, სადაც ასევე უპირატესობა ეძლევა რუსული ყრუ თანხმონების გლოტალიზებულებით გადმოცემას. ქართულთან სიახლოვეს იჩენენ ბაცური და უდიური, რაც ქართულის გავლენას შეიძლება მიეწეროს. მიგვაჩნია, რომ ეს განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს გლოტალიზაციის ხარისხის სხვაობით. გლოტალიზაციის დაბალი ხარისხი იძლევა უცხო ენის მარტივ ყრუ ფონემასთან შეთანადების საფუძველს, ხოლო მაღალი ხარისხი – ქმნის სპეციფიკურ ბგერას, რომლის შეთანადება უცხო ენის მარტივ ყრუსთან უფრო ძველია, ვიდრე ასპირირებულთან ან პრერუპტივთან.

#### ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი მზია, 1966: ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
2. ახვლედიანი გიორგი, 1999: ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.
3. ახვლედიანი გიორგი, 1922-23: „აბრუპტივები ანუ მკვეთრი ხშულები ქართულში“ (გადაბეჭდილია: ახვლედიანი, 1999, გვ. 363-375).
4. გამყრელიძე თამაზ, 1989: წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
5. ლომთათიძე ქეთევან, 1954: აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, საქ. მეცნ აკადემიის გამომცემლობა.
6. ჯეირანიშვილი ევენი, 1971: უდიური ენა, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
7. Бокарев Е. А., 1967: Цезский язык, Языки народов СССР, IV. Москва, Издательство "Наука".
8. Бокарев Е. А., 1967: Гунзибский язык, Языки народов СССР, IV. Москва, Издательство "Наука".
9. Бокарев Е. А., 1967: Гинухский язык, Языки народов СССР, IV. Москва, Издательство "Наука".
10. Бокарев Е. А., 1967: Хваршинский язык, Языки народов СССР. Москва, Издательство "Наука".
11. Дешериев Ю. Д., 1967: Бацбийский язык, Языки народов СССР, IV. Москва, Издательство "Наука".

12. Дешериев Ю. Д., 1967: Ингушский язык, Языки народов СССР, IV. Москва, Издательство "Наука".
13. Кумахов М. А., 1967: Адыгейский язык, Языки народов СССР, IV, Москва, Издательство "Наука".
14. Муркелинский Т. Б., 1954: О словарном составе лакского языка, Языки дагестана, Махачкала.
15. Шагпуров А. К., 1962: Очерки по сравнительной лексикологии Адыгских языков, Нальчик, Кабардино-балкарское книжное издательство.

### *წყაროები და ლექსიკონები*

1. ღოჩანაშვილი გურამ, 2010: რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება, თბილისი, „მერიდიანი“.
2. ტაბიძე ვალაკტიონ, 1995: თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.V, პროზაული ნაწერები, თბილისი, „საქართველო“.
3. მიქაშვილი ოთარ, 2005: ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის (რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ასპექტები), გამომცემლობა „ქართული ენა“.
4. ქადაგიძე დავით, ქადაგიძე ნიკო, 1984: წოვა-თუმურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, „მეცნიერება“.
4. ცოცანიძე გიორგი, 2002: თუმური ლექსიკონი, თბილისი.
5. ჭინჭარაული ალექსი, ზევსურული ლექსიკონი, 2005, თბილისი, „ქართული ენა“.
6. ზორნაული გივი, 2000: ფშაური ლექსიკონი, თბილისი.
7. Карасаев А. Т., Машнев А. Г., 1978: Русско-чеченский словарь, Москва, Издательство "Русский язык".
8. Оздоев И. А., 1980: Русско-ингушский словарь, Москва, Издательство "Русский язык".
9. Хайдаков С. М., 1962: Лакско-русский словарь, Москва, Издательство иностранных словарей.
10. WOLD – The World Loanword Database, ed. By Martin Haspelmath and Uri Tadmor, <http://Wold.livingsources.org/>.

## თავი X

### ქართველური, კავკასიური და კავკასიის ენობრივი არეალის ინდოევროპული ენების ზმული თანხმონების აკუსტიკური ანალიზი

ქართველური, კავკასიური და კავკასიის ენობრივი არეალის ინდოევროპული ენების ზმულ-სკდომი თანხმონებისა და აფრიკატების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით – Praat-ითა და WaveSurfer-ით. გაანალიზებული აუდიომასალის გრაფიკული გამოსახულებები (ოსცილოგრამა, სპექტოგრამა და ინტენსიობის მრუდი) ვიზუალიზებულია WaveSurfer-ის მეშვეობით.

საკვლევი ერთეულებია: ახალი ქართული ენა, ქართული ენის გურული და ხევსურული დიალექტები; სვანური ენის ბალსზემოური, ბალსქვემოური და ლენტეხური დიალექტები; მერულ-ლაზურის ზუგდიდურ-სამურზაყანოული და ზოფური კილოკავები; ზუნძური ენის ანდალური დიალექტი, აბაზური ენის ტაპანთური დიალექტი, ყაბარდული ენის ბესლენური დიალექტი, უდიური ენის ვართაშნული (ოგუზური) დიალექტი; ოსური ენის ირონული დიალექტი და სომხური ენის აღმოსავლური დიალექტი.

ხმონების გარემოცვაში წარმოქმნილი ზმული ბგერების თავისებურებათა დასადგენად განზორციელდა აკუსტიკური ანალიზი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

1. სკდომის (განხშვის) ჩქამისა და ხშვის გრძლივობა;
2. დროის მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკდომიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე (Voice onset time - VOT);
3. ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა ( $K=I/T$ );<sup>1</sup>
4. სკდომის მომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა (Post burst period);
5. მომდევნო ხმონის:

თრთოლის ხარისხი (Jitter perturbation)

- F0-ის ცვლილება (F0 perturbation)

ინტენსივობის მატება ენერჯის მაქსიმუმამდე (Rise to peak energy)

საწყისი ფონაცია (Voice quality-onset of vowel)

ძირითადი ტონისა (f0) და სახმო სიმების თრთოლის საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ხმონის დაწყებისა და ხმონის შუა ნაწილის სამპერიოდიან მონაკვეთზე. f0-ის ცვლილებისა და თრთოლის რაოდენობრივი მნიშვნელობები წარმოადგენს სხვაობას ხმონის დაწყებასა და ხმონის შუა ნაწილს შორის.

<sup>1</sup> ფორმულაში ( $K=I/T$ ) I (დეციბელებში) არის სკდომის (განხშვის) ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდის შეფარდება ჩქამის გრძლივობასთან (T-მილისეკუნდებში).

თანხმავანთა თითოეული არტიკულაციური ფაზისთვის საშუალო გრძლივობის გამოსათვლელად საჭირო განმარტებები: იმის გამო, რომ თავიკიდურ პოზიციაში მჟღერი ხშული წარმოდგენილია ხშვის ორნაირი – მჟღერი და ყრუ – ვარიანტით, ფაზების საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ორივესთვის ცალ-ცალკე – ერთი იქნება მჟღერი ხშვითა და ჩქამით, მეორე მხოლოდ ჩქამით – და შემდეგ არის გასაშუალოებული ორი მონაცემის მიხედვით. მჟღერი ხშვის შემთხვევაში პერიოდი სკლომიდან (ან განხშიდან – აფრიკატებისათვის) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე იქნება უარყოფითი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – დადებითი.

ხშირად, გლოტალიზებული ბგერაც ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი – სკლომის (განხშვის) მომდევნო უბგერო ინტერვალით და მის გარეშე. გლოტალიზებულების ფაზათა საშუალო გრძლივობები გამოთვლილია ორივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე და შემდეგ არის გასაშუალოებული. მაგალითად, თუ იმ გლოტალიზებული თანხმოვნის ჩქამის საშუალო გრძლივობა, რომელიც წარმოთქმულია უბგერო ინტერვალის გარეშე, უდრის  $T_1$ -ს, მაშინ დროის მონაკვეთი ამ ბგერის სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება აგრეთვე  $T_1$ ; უბგერო ინტერვალით წარმოთქმული იმავე თანხმოვნის დროის მონაკვეთი თანხმოვნის სკლომიდან (განხშიდან) სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება ორი სიდიდის ჯამი  $T_2+S_2$  ( $T_2$  – სკლომისა და  $S_2$  – უბგერო ინტერვალის გრძლივობა).

ორივე ტიპის (ნაირსახეობის) გლოტალიზებული თანხმოვნის სკლომის საშუალო გრძლივობა იქნება –  $(T_1+T_2):2$ , ხოლო სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე პერიოდის საშუალო გრძლივობა –  $(T_1+T_2+S_2):2$ ; ამიტომ ცხრილებში ჩქამისა და უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობათა ჯამი ყოველთვის შეიძლება არ უდრიდეს დროის მონაკვეთს სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე.

უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები გამოთვლილია მხოლოდ უბგეროინტერვალაინ გლოტალიზებული ბგერებისათვის.



# 1. გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართველურ ენებში

ახალი ქართული ენა. საანალიზო მასალას წარმოადგენს მამაკაცი და ქალი დიქტორების მიერ წარმოთქმული ორ-, სამ- და ოთხმარცვლიანი იზოლორებული სიტყვები. ხშული თანხმონები: მჟღერები – ბ დ გ ძ ჯ, ფშინიერები – ფ თ ქ ც ჩ და გლოტალიზებულები – პ ტ კ ყ წ ჭ გაანალიზებულია ხუთი ხმონის (ა ე ო ი უ) მეზობლობაში – თავიღურ, ინტერვოკალურ და ბოლოკიდურ პოზიციებში.

აკუსტიკური კვლევის შედეგები:  
თავიღური პოზიცია

*ხშვა.* თავიღურ პოზიციაში მჟღერი ფონემა წარმოდგენილია ხშვის ორნაირი – ყრუ და მჟღერი – ვარიანტით. ამ პოზიციაში არ ჩანს ლოკალურ რიგებთან ან მომდევნო ხმონის თავისებურებებთან დაკავშირებული რაიმე კანონზომიერება. მჟღერი ხშვის საშუალო გრძლივობები ორივე დიქტორისათვის მერყეობს 30-105 მს-ის ფარგლებში.

*ჩქამი.* თავიღურ პოზიციაში ქალი და მამაკაცი დიქტორების მიერ წარმოთქმული მჟღერი, ფშინიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმონები ასე დალაგდება ლოკალური რიგების მიხედვით და ჩქამის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით:

მამაკაცი	ქალი
ყ(59)	ყ(80)
ც(92)>ძ(63)>წ(58)	ც(128)>წ(73)>ძ(72)
ჩ(71)>ჯ(47)>ჭ(39)	ჩ(90)>ჭ(50)>ჯ(45)
ქ(45)>კ(25)>გ(22)	ქ(69)>კ(25)>გ(16)
თ(39)>ღ(17)>ტ(15)	თ(61)>ტ(20)>ღ(12)
ფ(25)>ბ(15)>პ(11)	ფ(53)>პ(14)>ბ(11)

ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშინიერი; მამაკაცთან მჟღერი თანხმონის ჩქამის გრძლივობა, როგორც წესი, აღემატება გლოტალიზებულისას; ზოლო ქალთან გლოტალიზებულის ჩქამი ყოველთვის უფრო დიდი გრძლივობისაა მჟღერთან შედარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორი გამონაკლისის გარდა მამაკაცი დიქტორის წარმოთქმისათვის დამახასიათებელია ჩქამის შედარებით მცირე გრძლივობა. გლოტალიზებულებში ყველაზე გრძელი ჩქამი ყ თანხმოვანს აქვს.

სერიების მიხედვით თანხმოვანთა ჩქამის საშუალო გრძლივობების კლების გათვალისწინებით ლოკალური რიგები ასე დალაგდება:

*უგულარული>პრეკლვილარული>პოსტკლვილარული>ველარული>დენტალური>ლაბიალური.*

ეს ნიშნავს, რომ მსკდომებში რაც უფრო უკანა წარმოებისაა ერთი და იმავე სერიის თანხმოვანი, მით უფრო ხანგრძლივია მისი ჩქამი, ზოლო აფრიკატებში – პირიქით.

*ღრისი მონაკვეთი ორალური სკლოპიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის დაწყებამდე (voice onset time – VOT).* მჟღერი ხშვის შემთხვევაში პერიოდი სკლოპიდან (ან განხშვიდან აფრიკატებისათვის) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე იქნება უარყოფითი,

ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – დადებითი. ეს მონაკვეთი გლოტალიზებულიების ჩქამთან შედარებით უფრო გრძელია უბგერო ინტერვალის არსებობის პირობებში; ხოლო ფშვინიერებისათვის იგივეა, რაც ჩქამში. ამიტომ ფშვინიერების ჩქამისა და ამ მონაკვეთის მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს.

მჟღერი, ფშვინიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები ლოკალური რიგების მიხედვით და სკლომიდან ყდერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის საშუალო გრძლიეობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ყ(70)	ყ(97)
ც(92)>წ(58)>ძ(2)	ც(128)>წ(80)>ძ(0)
ჩ(71)>ჭ(43)>ჯ(-33)	ჩ(90)>ჭ(69)>ჯ(-12)
ქ(45)>კ(30)>გ(-19)	ქ(69)>კ(41)>გ(-31)
თ(39)>ტ(19)>დ(-9)	თ(61)>ტ(28)>დ(-19)
ფ(25)>პ(15)>ბ(-15)	ფ(53)>პ(19)>ბ(-32)

ყოველ ლოკალურ რიგში ამ მონაკვეთის დიდი გრძლიეობით გამოირჩევა ფშვინიერი, ხოლო გლოტალიზებული აღემატება მჟღერს. გლოტალიზებულებში სკლომიდან ყდერის დაწყებამდე ყველაზე გრძელი დროის მონაკვეთი, ისევე როგორც ჩქამში, აქვს ყ თანხმოვანს.

**ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა.** ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდის (1-დეციბელებში) შეფარდება ჩქამის გრძლიეობასთან (T-მილისეკუნდებში) რეალურ წარმოდგენას იძლევა ჩქამის ინტენსივობის დინამიკაზე –  $K=I/T$ . ცხრილებიდან (1, 2) კარგად ჩანს, რომ ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში გლოტალიზებული თანხმოვნებისთვის კოეფიციენტი მეტია მჟღერებთან და, განსაკუთრებით კი, ფშვინიერებთან შედარებით. გლოტალიზებულ მსკლომებში მაღალი კოეფიციენტი დამახასიათებელია ტ-სთვის, ხოლო აფრიკატებში – ჭ-სთვის. აღსანიშნავია, რომ ჩქამის დიდი გრძლიეობის გამო გლოტალიზებული აფრიკატებისათვის კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირეა მსკლომებთან შედარებით.

**სკლომის მომდევნო უბგერო ინტერვალი.** უბგერო ინტერვალი (უ.ი.) გლოტალიზებულების წარმოთქმისას ყოველთვის არ რეალობდება. მამაკაცის წარმოთქმაში უბგერო ინტერვალის დიდი გრძლიეობით გამოირჩევა უეულარული ყ თანხმოვანი, ხოლო ქალის წარმოთქმაში – ჭ. უბგერო ინტერვალის გამოვლენა და დიდი გრძლიეობაც უფრო მეტად დამახასიათებელია ქალი დიქტორისათვის. ამ პოზიციაში ორივე დიქტორის მონაცემებით უბგერო ინტერვალის გრძლიეობები მერყეობს 6-22მს-ის ფარგლებში.

**ინტერვოკალური პოზიცია**

**ხშვა.** მამაკაცის წარმოთქმაში დიდი გრძლიეობით გამოირჩევა ინტერვოკალური გლოტალიზებული ხშვა; ამასთანავე, უბგეროინტერვალის ბგერის ხშვა უფრო გრძელია. ყველაზე მოკლე ხშვა აქვს მჟღერ თანხმოვანს, ხოლო მსკლომის ხშვის გრძლიეობა აღემატება აფრიკატისას.

ქალი დიქტორის წარმოთქმისათვის სერიების მიხედვით რაიმე მკაცრი კანონზომიერება ხშვის ფაზების გრძლიეობების მხრივ არ შეინიშნება, მაგრამ მსკლომებში რაც უფრო წინა წარმოებისა ერთი და იმავე სერიის თანხმოვანი, მით უფრო ხანგრძლივია მისი ხშვა, ხოლო აფრიკატებში – პირიქით. მჟღერი, ფშვინიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები

ხშვის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალურ რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ა(59)>ბ(52)>ფ(46)	ფ(80)>ბ(77)>ა(66)
ტ(59)>დ(51)>თ(41)	თ(73)>ტ(69)>დ(62)
კ(55)>ქ(51)>გ(48)	ქ(67)>კ(64)>გ(60)
– <sup>1</sup>	ყ(37)
წ(37)>ძ(36)>ც(30)	ძ(36)>წ(35)>ც(32)
ჭ(42)>ჯ(36)>ჩ(32)	ჭ(53)>ჯ(43)>ჩ(42)

**ჩქამბ.** ჩქამბის გრძლივობების მიხედვით დაახლოებით ისეთივე თანაფარდობაა, როგორც თავიდან პოზიციაში; ანუ ყოველ ლოკალურ რიგში დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინ-ვიერი; მამაკაცთან მყლერი თანხმონენის ჩქამბის გრძლივობა უფრო ხშირად აღემატება გლოტალიზებულიას; ხოლო ქალთან – გლოტალიზებულიის ჩქამბი თითქმის ყოველთვის უფრო დიდი გრძლივობისაა მყლერთან შედარებით. სერიების მიხედვით რაც უფრო უკანა წარმოებისაა მსკლში, მით უფრო დიდი გრძლივობისაა მის ჩქამბი, ხოლო აფრიკატი – პირიქით.

**დროის მონაკვეთი ორალური სკლომიდან (განსწვიდან) ჟღერის დაწყებამდე (VOT).** ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმონენები ლოკალურ რიგებში სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(36)>ა(15)	ფ(55)>ა(20)
თ(42)>ტ(24)	თ(65)>ტ(21)
ქ(54)>კ(31)	ქ(68)>კ(45)
–	ყ(43)
ც(87)>წ(70)	ც(109)>წ(70)
ჩ(82)>ჭ(55)>	ჩ(88)>ჭ(61)

მიუხედავად იმისა, რომ ფშვინვიერებისათვის ჩქამბისა და ამ მონაკვეთის შიშვენლობები ერთი და იგივეა, ხოლო გლოტალიზებულებისა კი იზრდება უბევრო ინტერვალის მიმატების ხარჯზე, ფშვინვიერის გრძლივობა ორივე დიქტორის მონაკვეთებით ყველა ლოკალურ რიგში აღემატება გლოტალიზებულიის გრძლივობას. სერიების მიხედვით რაც უფრო უკანა წარმოებისაა მსკლში, მით უფრო დიდი გრძლივობისაა დროის მონაკვეთი სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე (გამონაკლისი კ-ყ), ხოლო აფრიკატი – პირიქით.

**ჩქამბის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა და სკლომის მოძვენო უბევრო ინტერვალი.** ამ პარამეტრების მიხედვით თავიდან უკანა და ინტერვალურ პოზიციებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა: თავიდან პოზიციაში ორივე დიქტორისათვის უბევრო ინტერვალის გრძლივობები

<sup>1</sup> ამ პოზიციაში ქალი დიქტორის მიერ ყ-ს წარმოთქმა შესაძლებელია როგორც ხშულის, ისე ნაპარალონის სახით, ხოლო მამაკაცის მიერ – მხოლოდ ნაპარალონის სახით.

ოღნე მცირეა და მამაკაცისათვის ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების უკმუნი სიდიდის შეფარდება ჩქამის გრძლივობასთან (ინტენსივობის დინამიკის კოეფიციენტი  $K=I/T$ ) არის მეტი.

**ბოლოკიდური პოზიცია**

**ზშუა.** ამ პოზიციაში მკლერი თანხმონის ხშვის ფაზა შეიძლება იყოს სრულმკლერი, ნაწილობრივ მკლერი ან სულაც დაყრუბული. როგორც წესი, მკლერი თანხმონის ზშუა მოკლეა ყრუსთან შედარებით, ხოლო ფშვინვიერსა და გლოტალიზებულს შორის ფაქტობრივად განსხვავება არ არის. მსკლომების (ყ-ს გარდა, რომლის გრძლივობაც ამ პოზიციაში მინიმალურია) საშუალო გრძლივობები აღმატება აფრიკატებისას და, თავის მხრივ, მსკლომებში დიდი გრძლივობით გამოირჩევა ლაბიალური თანხმონები.

მკლერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმონები ხშვის საშუალო გრძლივობების მიხედვით ლოკალურ რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(102)>პ(101)>ბ(93)	ფ(105)>პ(92)>ბ(89)
ტ(90)>თ(80)>დ(72)	თ(86)>ტ(81)>დ(79)
ქ(91) >კ(87)>გ(67)	კ(86)>ქ(83)>გ(77)
ყ(47)	ყ(46)
ც(61)>წ(58)>ძ(35)	წ(50)>ც(49)>ძ(35)
ჩ(60)>ჭ(56)>ჯ(37)	ჩ(65)>ჯ(64)>ჭ(63)

**ჩქამი.** მკლერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმონები ჩქამის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალურ რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(120)>ბ(56)>პ(23)	ფ(109)>ბ(60)>პ(24)
თ(106)>დ(46)>ტ(38)	თ(132)>დ(61)>ტ(28)
ქ(107)>გ(40)>კ(31)	ქ(105)>გ(57)>კ(21)
ყ(64)	ყ(60)
ც(190)>ძ(109)>წ(93)	ც(192)>ძ(118)>წ(91)
ჩ(118)>ჯ(97)>ჭ(75)	ჩ(146)>ჯ(94)>ჭ(76)

ჩქამის გრძლივობის მიხედვით ხუთივე ლოკალურ რიგში ასეთი კანონზომიერება დადგინდა:

*ფშვინვიერი > მკლერი > გლოტალიზებული*

**ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა.** ინტენსივობის დინამიკის კოეფიციენტის ( $K=I/T$ ) მნიშვნელობები ასიმეტრიულია გრძლივობების მიმართ (ცხრილები 1, 2). აღსანიშნავია, რომ გარდა განსხვავებისა ჩქამის გრძლივობაში, თვალსაჩინოა თანხმონთანა ჩქამის ინტენსივობის შემდეგი განაწილება (კლებადი თანმიმდევრობა):

*გლოტალიზებული > ფშვინვიერი > მკლერი.*

**უბგერო ინტერვალი.** ბოლოკიდური პოზიციაში მამაკაცის მიერ წარმოთქმული გლოტალიზებულებისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი უბგერო ინტერვალი, და თუ არის, ის უფრო დიდი გრძლივობისაა, ვიდრე სხვა პოზიციაში. ქალის წარმოთქმისათვის ამ შემთხვევაშიც უფრო დამახასიათებელია უბგერო ინტერვალის არსებობა. ბოლოკიდურ პოზიციაში ორივე დიქტორის

მონაცემების მიხედვით უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები მერყეობს 20-60მს-ის ფარგლებში.

ბოლოკიდურ პოზიციაში ხშულები ასე დახასითდება:

*მეღერი* – მოკლე ხშვა, საშუალო გრძლივობისა და დაბალი ინტენსივობის ჩქამი;

*ფშიინვიერი* – გრძელი ხშვა, დიდი გრძლივობისა და საშუალო ინტენსივობის ჩქამი;

*გლოტალიზებული* – გრძელი ხშვა, მცირე გრძლივობისა და მაღალი ინტენსივობის ჩქამი,

უბგერო ინტერვალი არ არის სავალდებულო.

	#-V				V-V				V-#			
	სშვა	ჩქამი	უ.ი.	K(L/T)	სშვა	ჩქამი	უ.ი.	K(L/T)	სშვა	ჩქამი	უ.ი.	K(L/T)
ბ	15			0,75								
	46,5	15,25		0,80	51,5	16		0,38	93	56		0,23
წ	25			0,52	46,2	36,25		0,39	102	120		0,23
	13,35			1,85	58,5	14,85		1,30	112,5	26		0,94
კ	s=6,66				s=9,77	s=6,62			s=38,89	s=1,41		
	9	7	1,78		-	-	-	-	89,5	19	33,5	1,32
ქ	0	0							s=2,12	s=4,24	s=10,06	
	16,25			1,25								
ღ	34,5	18,65		1,32	51	16,25		1,05	71,5	46		0,58
	38,65			0,88	41	42		0,90	79,5	106		0,35
თ	16			1,98	54,4	16,7		2,31	89,8	38,4		1,31
	s=2,16				s=6,84	s=2,5			s=9,73	s=6,02		
ბ	14,5	6,5	3,00		62,65	22,35	9,35	1,61	-	-	-	-
	s=2,12	s=0,7			s=12,5	s=7,09	s=2,08		-	-	-	-
ბ	20,65			1,22								
	57,5	22,5		0,57	47,65	24,65		0,58	67	40		0,79
ქ	45,35			0,79	51	54		0,73	91,35	107		0,27
	24,65			1,76	51	23		1,17	87	31,2		1,29
ქ	s=8,14				s=18,26	s=9,87			s=4,47	s=6,97		
	26	8,5	1,61		59,35	24,65	14,65	1,53	-	-	-	-
ქ	s=10,09	s=1,73			s=16,92	s=6,8	s=7,57		-	-	-	-
	62,65			0,55								
ქ	58,5	72,5		0,74	35,5	62		0,58	35	108,5		0,37
	91,5			0,60	30	87		0,51	61	190		0,34
ყ	57,85			0,96	25,85	49,65		0,62	58,15	92,65		0,74
	s=6,28				s=7,44	s=4,5			s=16,04	s=14,86		
ყ	-	-	-	-	47	70,5	20,5	0,89	-	-	-	-
	-	-	-	-	s=8,48	s=3,53	s=4,95		-	-	-	-
ჯ	40,5			0,78								
	105	54		0,70	35,5	41,5		0,57	37	96,5		0,37
ჩ	71			0,64	32	82		0,45	60,35	117,65		0,28
	38			1,00	38	38,8		0,99	56	75,2		0,90
ჭ	s=11,36				s=1,22	s=5,8			s=10,39	s=9,2		
	40	8,5	1,61		45	56	15	1,05	-	-	-	-
ჭ	s=9,89	s=0,7			0	0	0		-	-	-	-
	54				-	-			36,5	79,5		
წ	0				-	-			s=17,67	s=6,36		
	64,65	21,5			-	-			58	48	20	
წ	s=17,75	s=9			-	-			0	0	0	
	-	-			51	-			78	-	-	
წ(სა)	-	-			s=11,31	-			0	-	-	

ცხრილი I. თანხმობანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები

(ასალი ქართული ენა, იზოლირებული სიტყვები, მამაკაცის წარმოთქმა).

შენიშვნა: I - ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების უცაბური სიდიდე დეციბელებში.

T - ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში.

s - სტატისტიკური მასსიათებელი - სტანდარტული გადახრა; 0 - ერთეული შემთხვევა;

\* - სპირანტული შეხარბთა - ხშვის ფაზის გარეშე.

	#-V				V-V				V-#			
	სშეა	ჩქაბი	უ.ი.	K(LT)	სშეა	ჩქაბი	უ.ი.	K(LT)	სშეა	ჩქაბი	უ.ი.	K(LT)
ბ	8,5			1,78								
	73	13,5		1,14	76,6	9,8		1,32	89,2	60,35		0,31
წ	53			0,53	80	55,35		0,54	104,7	109		0,20
	15			2,53	68	9		2,55	82,5	12		1,36
კ	0				0	0			s=3,53	s=1,41		
	13,75	9,25		2,62	64	13,4	17,2	2,81	101	12,65	34	1,82
	s=9,95	s=1,7			s=12,63	s=11,15	s=12,23		s=3,53	s=0,58	s=13,75	
ლ	12,5			1,90								
	51	11		1,60	61,65	11,65		1,34	79	61		0,41
თ	61,35			0,53	72,5	64,5		0,51	86	132		0,31
	24			2,29	62,5	11,5		4,87	78,65	32		1,58
ბ	0				s=9,19	s=4,95			s=4,19	s=5,29		
	15,4	16		4,45	76,25	17,75	13,25	2,74	82,5	24	33	2,08
	s=3,43	s=7,9			s=8,9	s=4,92	s=11,68		s=6,36	s=0	s=2,83	
ბ	17,65			1,62								
	78,5	13,5		2,22	59,65	16,65		0,70	75,65	57,35		0,56
ქ	69,35			0,45	67	67,6		0,54	82,65	105,4		0,25
ქ	24,6	16,3		2,30	64	20,85	23,85	2,35	86,25	21,25	35,25	2,26
	s=11,83	s=6,2			s=12,96	s=10,37	s=8,74		s=9,67	s=2,5	s=10,69	
ქ	74			0,74								
	71	69		0,59	36,35	71		0,60	35	117,5		0,55
ღ	128			0,49	32	108,5		0,41	48,5	191,7		0,33
ყ	77			0,86	40	55		1,29	48,65	89,65		0,88
	0				0	0			s=8,08	s=2,08		
ყ	69	13,85		1,16	31	67,85	16,5	1,05	50,5	91,5	45	0,76
	s=7,28	s=6,2			s=9,46	s=6,34	s=2,22		s=0,7	s=0,7	s=4,24	
ჩ	43			1,05								
	68,5	47		1,07	43	46		0,98	64	94		0,56
ჩ	90			0,65	42	88,35		0,66	64,5	146		0,41
	61,65								s=2,88	s=3,21		
ც	49,8	19,2		1,68	52,65	47,65	13,65	1,53	64,5	81	60	0,84
	s=10,82	s=7,59			s=7,79	s=10,69	s=13,00		s=14,85	s=12,73	s=14,14	
ც	79,6	17,55			37	26,5	16,5		46	60	30	
	s=21,77	s=5,47			s=1,41	s=7,78	s=12,00		18,52	s=14,00	s=4,00	
ც				*	65,25	22,25						
					s=19,62	s=10,56						

ცხრილი 2. თანხმობანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძობის (ასალი ქართული ენა, იზოლირებული სიტყვები, ქალის წარმოთქმა).

შენიშვნა: I - ჩქაბის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური ხილვად დეტალები.

T - ჩქაბის გრძობა მოლისეკუნდებში;

s - სტატისტიკური მახასიათებელი - სტანდარტული გადახრა; 0 - ერთული შემთხვევა.

\* - სპირანტული შემართვა - ხშვის ფაზის გარეშე.

ქართული ენის გურული დიალექტი. მასალას აკუსტიკური ანალიზისათვის წარმოადგენს ქართული ენის გურული დიალექტის 2 წარმომადგენლის (მამაკაცისა და ქალის) მიერ წარმოთქმული იზოლირებული სიტყვებისა და მოკლე ფრაზების ციფრული ჩანაწერები.

ზშული თანხმონები გაანალიზებულა თავიკიდურ და ინტერეკალურ პოზიციებში:

*მელერები* – ბ ღ გ ძ ქ, *ფშინეიერები* – ფ თ ქ ც ჩ და *გლოტალიზებულეები* – პ ტ კ ყ წ ჭ.

აკუსტიკური კვლევის შედეგები:

თავიკიდური პოზიცია

*ზშუა*, თავიკიდურ პოზიციაში მელერი ფონემა წარმოდგენილია ყრუ ზშვის ფაზით, ნულეოვანი ენრეგიით. ამიტომ აკუსტიკური ანალიზის მეთოდებით ზშვის გრძლიეობის გაზომეა შეუძლე-ბელია.

*ჩქამი*, თავიკიდურ პოზიციაში ქალი და მამაკაცი დიექტორების მიერ წარმოთქმული მელერი, ფშინეიერი და გლოტალიზებული ზშული თანხმონები ჩქამის საშუალო გრძლიეობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალურ რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(53)>ბ(15)>პ(10)	ფ(62)>ბ(14)>პ(10)
თ(53)>ტ(20)>ღ(17)	თ(69)>ტ(19)>ღ(13)
ქ(73)>გ(28)>კ(19)	ქ(71)>გ(26)>კ(24)
ყ(6)	ყ(26)
ც(92)>წ(55)>ძ(54)	ც(121)>ძ(75)>წ(61)
ჩ(85)>ჯ(51)>ჭ(47)	ჩ(93)>ჯ(56)>ჭ(40)

ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლიეობით გამოირჩევა ფშინეიერი; გლოტალიზებულეებსა და მელერებს შორის ცალსახა თანაფარდობა არ არის. ორი გამონაკლისის გარდა (ტკყყ), რაც უფრო უკანა წარმოებისაა ერთი და იმავე სერიის მსკლომი თანხმონი, მით უფრო ხანგრძლიეა მისი ჩქამი, ხოლო აფრიკატები – პირიქით.

*ღროის მონაკვეთი ორალური სკლომიდან (ვანშეიდან) ჯღერის დაწეებაძღე (VOT)*. ეს მონაკვეთი ფშინეიერებისათვის და მელერებისათვის იეიევა, რაც ჩქამი. ამიტომ, ჩქამისა და ამ მონაკვეთის შნიშნელობები ერთი და იმავე ბგერისათვის ემთხვევა ერთმანეთს. მელერი, ფშინეიერი და გლოტალიზებული ზშული თანხმონები ასე დალაგდება ლოკალური რიგების მიხედვით და სკლომიდან ჯღერის დაწეებაძღე ღროის მონაკვეთის საშუალო გრძლიეობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით:

მამაკაცი	ქალი
ფ(53)>პ(16)>ბ(15)	ფ(62)>პ(15)>ბ(14)
თ(53)>ტ(29)>ღ(17)	თ(69)>ტ(25)>ღ(13)
ქ(73)>კ(40)>გ(28)	ქ(71)>კ(32)>გ(26)
ყ(43)	ყ(43)
ც(92)>წ(69)>ძ(54)	ც(121)>ძ(75)>წ(72)
ჩ(85)>ჭ(62)>ჯ(51)	ჩ(93)>ჯ(56)>ჭ(51)



ყოველ ლოკალურ რიგში ამ მონაკვეთის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი; მსკდომი გლოტალიზებული ბგერის გრძლივობა აღემატება მჟღერისას; აფრიკატებში ამგვარი თანაფარდობა შენარჩუნებულია მხოლოდ მამაკაცთან. რაც უფრო უკანა წარმოებისაა ერთი და იმავე სერიის მსკდომი თანხმოვანი, მით უფრო ხანგრძლივია დროის მონაკვეთი სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე, ხოლო აფრიკატი – პირიქით. გლოტალიზებულებში ყველაზე გრძელი დროის მონაკვეთი, ისევე როგორც ჩქამში, აქვს წ თანხმოვანს.

**ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა ( $K=I/T$ ).** ცხრილებიდან (3, 4) კარგად ჩანს, რომ ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში გლოტალიზებული თანხმოვნებისთვის კოეფიციენტი (K) მუდმივად მჟღერებთან და, განსაკუთრებით კი, ფშვინვიერებთან შედარებით. ჩქამის დიდი გრძლივობის გამო გლოტალიზებული აფრიკატებისათვის კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირეა მსკდომებთან შედარებით. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობები ქალის წარმოთქმისათვის უფრო მაღალია; განსაკუთრებით დიდი სხვაობაა გლოტალიზებულებში, რაც მიუთითებს ინტენსიურ და მკვეთრ არტიკულაციაზე.

**სკდომის მოძვენო უბგერო ინტერვალი.** უბგერო ინტერვალი (უ.ი.) გლოტალიზებულების წარმოთქმისას შესაძლოა ყოველთვის არ რეალიზდებოდეს, თუმცა, ასეთი შემთხვევები შედარებით ცოტაა. ორივე დიქტორის მონაცემებით უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები მერყეობს 11-37 მს-ის ფარგლებში და დიდი გრძლივობით გამოირჩევა უკუღარული ყ თანხმოვანი.

**ინტერვოკალური პოზიცია**

**ზშვა.** მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები ასე დალაგდება ლოკალური რიგების მიხედვით სკდომიდან ხშოვნის დაწყებამდე დროის მონაკვეთის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით:

მამაკაცი	ქალი
პ(76)>ფ(52)>ბ(48)	ფ(86)>პ(82)>ბ(77)
ტ(65)=თ(65)>დ(63)	ტ(96)>დ(76)>თ(74)
კ(57)>გ(50)>ქ(47)	ქ(78)>კ(74)>გ(61)
ყ(40)	ყ(49)
წ(41)>ც(37) –	წ(78)>ც(56) –
ჭ(49)>ჩ(42) –	ჭ(81)>ჯ(70)>ჩ(67)

რაიმე მკაცრი კანონზომიერება ხშვის ფაზების გრძლივობების მხრივ არ შემჩნევა. თუმცა, გლოტალიზებულის ხშვა სერიების მიხედვით უმეტესად უფრო გრძელია, ხოლო მჟღერისა – შედარებით მოკლე და მსკდომის ხშვის გრძლივობა აღემატება აფრიკატისას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოზიციაში მამაკაცი დიქტორის წარმოთქმისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ყ-ს ნაპრალოვანი და ხშული რეალიზაცია, ხოლო ქალისათვის – მხოლოდ ხშული.

**ჩქამი.** ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი. მჟღერების და გლოტალიზებულების სერიებში რაც უფრო უკანა წარმოებისაა მსკდომი, მით უფრო დიდი გრძლივობისაა, აფრიკატებში კი განსხვავებული სურათია. გლოტალიზებულ თანხმოვნებში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ყ ბგერის ნაპრალოვანი ვარიანტი.

მაპაკაცი	ქალი
ფ(41)>ბ(8)>პ(6)	ფ(43)>ბ(12)>პ(10)
თ(33)>ღ(18)>ტ(15)	თ(31)>ტ(27)>ღ(15)
ქ(50)>კ(28)>გ(26)	ქ(52)>გ(18)>კ(27)
ყ(47)	ყ(43)
ც(88)>წ(49) –	ც(78)>წ(45) –
ჩ(92)>ჭ(59) –	ჩ(84)>ჭ(62)>ც(33)

დროის მონაკვეთი ორჯერ სკლომიდან (ვანშვიდან) ზმოენის დაწყებამდე (VOT). ფშინიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმონები ამ მონაკვეთის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალური რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მაპაკაცი	ქალი
ფ(41)>პ(12)	ფ(43)>პ(17)
თ(33)>ტ(22)	თ(31)>ტ(23)
ქ(50)>კ(34)	ქ(52)>კ(25)
ყ(47)	ყ(52)
ც(88)>წ(49)	ც(78)>წ(50)
ჩ(92)>ჭ(72)	ჩ(84)>ჭ(39)

ამ პოზიციაში, სკლომიდან ზმოენის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობების მიხედვით დაახლოებით ისეთივე თანაფარდობაა, როგორც თავკიდურ პოზიციაში – ფშინიერის გრძლივობა უკამონაკლისოდ მეტია გლოტალიზებულისაზე.

სკლომის მომდევნო უბგერო ინტერვალი. გლოტალიზებული თანხმონი ინტერვალურ პოზიციაში, თავკიდურისაგან განსხვავებით, თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც უბგერო ინტერვალთ, ისე მის გარეშე. ამ პოზიციაში უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები ორივე დიქტორის მონაცემებით მერყეობს 11-25 მს-ის ფარგლებში.

	#-V				V-V		
	ხშვა	ჩქამი	უ.ი.	K=I/T	ხშვა	ჩქამი	უ.ი.
ბ	-	15		0,66	48,5	8	
ფ		52,5		0,47	52,25	41,25	
კ		11,35		1,21	70	7,5	
		8	12	2,7	81,5	5	11
ღ	-	17		1	63	17,75	
თ		53		0,58	65	33	
ტ		22		1,39	65	17,35	
		17	18	2,29	64,75	13	14
ბ	-	28		0,95	50	25	
ქ		72,5		0,37	47	50	
ძ		-		-	58	26,5	
		18,75	21	1,98	56,25	30,25	11
ძ	-	53,5		0,55	-	-	
ც		92		0,43	36,5	87,5	
წ		60		0,5	41	49	
		50	28	1,06	-	-	-
ჩ	-	51		0,63	-	-	
ჩ		84,5		0,53	41,5	91,5	
ჭ		38,5		1,17	58	48,5	
		55	30	1,13	40	70	25
ყ		-			40	47	
		6	37		-	-	-
		-	-			71	-

ცხრილი 3. თანხმომანათა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობებ

[გურული დიალექტი, მოკლე ფრაზები და იზოლორებული სიტყვები,

მაჰაკაის (ო.თ.)წარმოთქმა].

შენიშვნა: I - ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ეამური ხილიდე დეციბელებში.

T - ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში;

\* სპირანტული შემართვა - ხშვის ფაზის გარეშე.

	#-V				V-V		
	ბშვა	ჩქამი	უ. ი.	K=I/T	ბშვა	ჩქამი	უ. ი.
ბ	-	14		1,1	77	14	
ფ		62		0,48	85,5	43,25	
კ		10	-	1,65	89	10,25	-
		9,5	11	3,47	75,25	7	15,75
დ	-	13		1	75,5	17,75	
თ		68,5		0,59	74	31	
ბ		18,5	-	2	89,5	14,75	-
		18,25	12,75	2,6	102,25	14,25	17,5
ბ	-	25,5		1,25	61	27	
ქ		70,5		0,62	78	52	
ძ		28,5	-	1,77	72,75	20	-
		19,25	16	3	75	15	14
ძ	-	75		0,67	-	-	
ც		121		0,54	56	77,5	
წ		72	-	0,89	65,75	49,75	-
		50	21	1,55	76	40	11
ჯ	-	56		0,78	70	62	
ჩ		92,5		0,52	67	84	
ჭ		47	-	1,03	78,5	35,5	-
		33	22	1,77	83	31	12
შ		20	-		54	50	-
		31,5	34		42	35,75	18,25

ცხრილი 4. თანხმობანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები  
[გურული დიალექტი, იზოლირებული სიტყვები, ქალის (მ.ჭ.) წარმოთქმა].  
ზერიშენი: I – ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების უკუპირი სიდიდე დეციბელებში,  
T – ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში.

**ქართული ენის ხვესურული დიალექტი.** მასალას აკუსტიკური ანალიზისათვის წარმოადგენს ქართული ენის ხვესურული დიალექტის 3 წარმომადგენლის (ორი მამაკაცისა და ერთი ქალის) მიერ წარმოთქმული იზოლირებული სიტყვებისა და მოკლე ფრაზების ციფრული ჩანაწერები.

ხშული თანხმოვნები გააანალიზებულა თავიკიდურ და ინტერვოკალურ პოზიციებში: მჟღერები – ბ დ გ ძ ჯ, ფშვინვიერები – ფ თ ქ ჭ ც რ და გლოტალიზებულები – პ ტ კ ყ წ ჭ.

აკუსტიკური კვლევის შედეგები:

თავიკიდური პოზიცია

**ბშვა.** თავიკიდურ პოზიციაში მჟღერი ფონემა წარმოდგენილია დაყრუებული ხშვის ფაზით, ნულოვანი ენერგიით. ამიტომ აკუსტიკური ანალიზის მეთოდებით ხშვის გრძლივობის გაზომვა შეუძლებელია.

**ჩქამი.** თავიკიდურ პოზიციაში ქალი და მამაკაცი დიქტორების მიერ წარმოთქმული მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები ჩქამის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალური რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცები	ქალი
ფ(58)>პ(15)>ბ(14)	ფ(48)>პ(13)≥ბ(13)
თ(53)>ტ(22)>ღ(19)	თ(70)>ტ(19)>ღ(16)
ქ(70)>გ(27)>კ(22)	ქ(90)>კ(33)>გ(29)
ჟ(65)>ყ(55)	ჟ(88)>ყ(52)
ც(82)>წ(65)>ძ(64)	ც(75)>წ(59) –
ჩ(79)>ჯ(58)>ჭ(52)	ჩ(108)>ჭ(70)>ჯ(69)

ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი; ქალთან გლოტალიზებულის ჩქამი, როგორც წესი, უფრო დიდი გრძლივობისაა მჟღერთან შედარებით, ხოლო მამაკაცებთან ამ მხრივ რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციაში ერთერთი მამაკაცი დიქტორის მიერ ყ ბგერა სპირანტული ნაირსახეობითაც წარმოითქმის.

**ღროის მონაკვეთი ორალური სკლომიდან (განხშვიდან) ჯღერის დაწყებაძღე (VOT).** ეს მონაკვეთი ფშვინვიერებისათვის და მჟღერებისათვის იგივეა, რაც ჩქამი. ამიტომ, ჩქამისა და ამ მონაკვეთის მნიშვნელობები ერთი და იმავე ბგერისათვის ემთხვევა ერთმანეთს. მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები ლოკალური რიგების მიხედვით ამ მონაკვეთის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცები	ქალი
ფ(58)>პ(24)>ბ(14)	ფ(48)>პ(27)>ბ(13)
თ(53)>ტ(29)>ღ(19)	თ(70)>ტ(34)>ღ(16)
ქ(70)>კ(44)>გ(27)	ქ(90)>კ(48)>გ(29)
ყ(86)>ჟ(65)	ჟ(88)>ყ(84)
ც(82)>წ(77)>ძ(64)	ც(75)≥წ(75)
ჩ(79)>ჭ(63)>ჯ(58)	ჩ(108)>ჭ(85)>ჯ(69)

ყოველ ლოკალურ რიგში ამ მონაკვეთის დიდი გრძლივობით, როგორც წესი, გამოირჩევა ფშვინიერი (გამონაკლისი: მამაკაცთან –  $\varphi(86) > \zeta(65)$ , ქალთან –  $\zeta(75) \geq \varphi(75)$ ); გლოტალიზებული ბგერის გრძლივობა კი აღემატება მჟღერისას. გლოტალიზებულებში ყველაზე გრძელი დროის მონაკვეთი სკლამიდან (განხშვიდან) ჟღერის დაწყებამდე, ისევე როგორც ჩქამი, აქვს ყ თანხმოვანს.

**ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა.** ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების უამური სიდიდის (I-დეციბელზე) შეფარდება ჩქამის გრძლივობასთან (T-მილისეკუნდებში) იძლევა რეალურ წარმოდგენას ჩქამის ინტენსივობის დინამიკაზე –  $K=I/T$ . ცხრილებიდან (5, 6) კარგად ჩანს, რომ ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში გლოტალიზებული თანხმოვნებისთვის კოეფიციენტი მეტია მჟღერებთან და, განსაკუთრებით კი, ფშვინიერებთან შედარებით. ჩქამის დიდი გრძლივობის გამო გლოტალიზებული აფრიკატებისათვის კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირეა მსკლომებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მჟღერებისათვის ეს კოეფიციენტი უფრო მაღალია სალიტერატურო ქართულთან შედარებით.

**სკლამის მომეწერო უბგერო ინტერვალი.** უბგერო ინტერვალი (უ.ი.) გლოტალიზებულების წარმოთქმისას ყოველთვის არ რეალიზდება, მაგრამ ასეთი შემთხვევები ცოტაა. მაგალითად, ამ პოზიციაში ქალის წარმოთქმისათვის უბგერო ინტერვალის არსებობა უპირობოა. სამივე დიქტორის მონაცემებით უბგერო ინტერვალის გრძლივობები მერყეობს 13-32 მს-ის ფარგლებში და დიდი გრძლივობით გამოირჩევა უკუღარული ყ თანხმოვანი.

ინტერვოკალური პოზიცია

**ზშვა.** მჟღერი, ფშვინიერი და გლოტალიზებული ხშული თანხმოვნები ხშვის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით ლოკალური რიგებში კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცები	ქალი
$\varphi(80) > \alpha(74) > \beta(66)$	$\varphi(96) > \alpha(92) > \beta(80)$
$\zeta(76) > \delta(67) > \theta(55)$	$\zeta(83) > \theta(75) > \delta(64)$
$\kappa(72) > \gamma(68) > \chi(44)$	$\kappa(73) > - > \gamma(60)$
$\zeta(86) > \varphi(41)$	$\zeta(82) > \varphi(76)$
$\varphi(50) > \zeta(42) -$	$\varphi(72) > \zeta(58) -$
$\delta(56) > \zeta(47) -$	$\delta(80) > \zeta(51) -$

